ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

23 — 24 თებერვალი, 2013 №45 (6046) ფასი: 30 თეთრი

## გამოკითხულთა უმრავლესობა ბათუმში მეჩეთის მშენებლობას არ ეთანხმება

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან 22 თებერვლამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა მთავრობათაშორის შეთანხმებას ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით არ ეთანხმება.

კითხვაზე – „ეთანხმებით თუ არა საქართველოსა და თურქეთის მთავრობების შეთანხმებას ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით“, გამოკითხულთა 53,8 პროცენტმა უპასუხა, რომ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, 26,9 პროცენტი კი საპირისპირო პოზიციას აფიქსირებს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 19,3 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი



## გიგი უგულავას დღეს ბრალს წაუყენებენ

გვ.5

## ლადო ვარძელაშვილი დააკავეს

რა მოხდა ყოფილი მინისტრის ბინაში

გვ.5



## გოგა ხაჩიძე ბიძინა გუჯაბიძეს ჰომოფობიაში ადანაშაულებს

გვ.5





## სოზარ სუბარი: „ის დრო, როდესაც სააკაშვილი იძახდა, ყველანი ციხეშიო, წარსულს ჩაბარდა“

გვ.3



## კახა კუკავა: „ივანიშვილს ქვეყნის მართვის გეგმა არ აქვს“

ხელისუფლების ქმედებები შევარდნაძის უძრაობის ხანას წააგავს

გვ.4

## ბიძინა ივანიშვილი: „უსუფაშვილმა სააკაშვილს საკადრისი პასუხი გასცა“

გვ.5



## პედაგოგები მასობრივი გაფიცვებით იმუქრებიან

გვ.2



## გიორგი თარგამაძე: „ნაციონალური მოძრაობა“ არის ჩამქრალი ნათურა“

გვ.2



ISSN 1987-9385

## ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდა

გვ.6



## თამარ ჩხეიძე: „გოგი ქავთარაძეს და ნუკრი ქანთარიას დემოკრატიაზე წარმოდგენა არა აქვთ“

გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი თარგამაძე: „ნაციონალური მოძრაობა" არის ჩამქრალი ნათურა"

შორენა გონგლაძე

— ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გიორგი თარგამაძე პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას საქართველოში საკონსტიტუციო რეფორმის ახალი ეტაპის დაწყებას ეხმაურება და დადებითად აფასებს. მისი თქმით, ამ პროცესებში ქრისტიან-დემოკრატები აქტიურად აპირებენ ჩართვას.

— მინდა პოზიტიურად გამოვეხმაურო ამ შემოთავაზებას,



რომელიც გულისხმობს, პირველი მარტიდან საქართველოში, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ამუშავებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების პარალელურად აუცილებელია ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხებზე არა მხოლოდ საზოგადოებრივი დისკუსიის გახსნა, არამედ პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტიების მხრიდან პასუხისმგებლობის აღება როგორც სახელმწიფო მოწყობის მოდელზე, ასევე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპებზე სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება. მიმაჩნია, რომ ეს იყო დროული გამოხმაურება პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან და ჩვენ, როგორც პოლიტიკური პარტია, ვაპირებთ ამ პროცესებში, როგორც მონაწილე მხარემ, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ, — აცხადებს თარგამაძე.

გიორგი თარგამაძის აზრით, მართებული იქნება, თუ არ შეიცვლება მიდგომა, რომელიც წლების წინ ჩამოყალიბდა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მედიატორობით ხდებოდა ისეთი ფორმატების შემუშავება, სადაც ყველა პოლიტიკური ძალა თანაბარი სტატუსით მიიღებს მონაწილეობას საარჩევნო სისტემის რეფორმის პროცესში.

— ჩვენი მეორე წინადადება უკავშირდება საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე მომუშავე ჯგუფის ფორმატს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, არსებობს წინასწარი ვარაუდი, რომ შეიქმნება ინტერფრაქციული საპარლამენტო ჯგუფი და ამ ჯგუფში მიიწვევენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ საზოგადოების წარმომადგენლებს. ამ მიდგომასთან დაკავშირებით ჩვენ საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება გვაქვს, რადგან მიგვაჩნია, რომ არსებობს პოლიტიკური პარტიების არათანაბარ პირობებში ჩაყენების მცდელობა. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საარჩევნო კანონმდებლობაზე, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საარჩევნო პროცესის უშუალო მონაწილეები და სუბიექტები ვართ სწორედ პოლიტიკური პარტიები. ამიტომ მართებული იქნება, რომ არ შევცვალოთ ის ტრადიცია და გამოცდილება, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მედიატორობით. ამდენად, ჩვენთვის მიუღებელია ინტერფრაქციული ჯუფის ფორმატით ამ სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, სადაც მხოლოდ მოწვეულის სტატუსით შეიძლება იყოს არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილი, — აცხადებს გიორგი თარგამაძე.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ თვითმმართველობის რეფორმის ახალ კონცეფციას, თარგამაძის განცხადებით:

— მე ამ ეტაპზე კრიტიკას არ დავიწყებ, მიუხედავად იმისა, ვხედავ, რომ ძალიან ბევრი რამ არის შესაცვლელი, მაგრამ მცდელობა და სურვილი საიმისოდ, რომ საქართველოში რეალური ევროპული ტიპის სუფსიდიარობაზე აგებული თვითმმართველობა დამყარდეს, სადაც უშუალოდ ადგილებზე განხორციელდება დემოკრატია, ეს მხოლოდ მისასალმებელი ფაქტია. მე მეჩვენება, რომ ამ კონცეფციის ავტორებს გამოეპარათ ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება სწორედ საკონსტიტუციო რეფორმისა და გადაწყვეტილებების თემაა და ეს ვერ განისაზღვრება მხოლოდ ორგანული კანონით, რადგან ჩვენი კონსტიტუციის მეორე მუხლი აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპების ჩამოყალიბება ან გადახედვა შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ. ჯერ უნდა განისაზღვროს ქვეყნის კონსტიტუციურ ტერიტორიულ— ადმინისტრაციული მოწყობის ძირითადი კონსტრუქცია და ამის პარალელურ რეჟიმში შეიძლება დავიწყოთ საუბარი თვითმმართველობის რეფორმაზე.

19 აპრილს დაგეგმილ აქციასთან და მოარულ ხმებთან დაკავშირებით, თითქოს ნაციონალური მოძრაობა გადატრიალებისთვის ემზადება, თარგამაძე აცხადებს, რომ ეს ყველაფერი რეალობას არის მოკლებული.

— ნაციონალური მოძრაობა არაფრის გადამტრიალებელი არ არის, ისინი ეჭვებს თესავენ და ამით ცდილობენ, რომ მუდმივად ყურადღების ცენტრში იყვნენ. „ნაციონალური მოძრაობა" არის ჩამქრალი ნათურა. მათ მიერ 19 აპრილს დაგეგმილი აქცია არის ცინიკური, რადგან ქვეყნის დასავლური კურსის განვითარებას სწორედ მერაბიშვილმა და სააკაშვილმა შეუშალეს ხელი თავიანთი ქმედებებით, — აცხადებს თარგამაძე.

# პედაგოგები მასობრივი გაფიცვებით იმუქრებიან

მერი ნამორაძე

პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან გათავისუფლებული პედაგოგები ერთობ უკმაყოფილონი არიან განათლების სამინისტროს იმ კომისიის მუშაობით, რომელსაც მათი საკითხების შესწავლა დაევალა. განათლების მინისტრი რამდენიმე თვის წინ ამ კომისიაზე დიდ იმედებს ამყარებდა, რომელიც სამართლიანობის აღდგენაში უნდა დახმარებოდა პედაგოგებს. მინისტრი რამდენად კმაყოფილია კომისიის მუშაობით, უცნობია, მაგრამ თავად პედაგოგები უკმაყოფილებას არ მალავენ.

კომისიამ, რომელშიც არასამთავრობო სექტორიც არის წარმოდგენილი, ბოლო შეხვედრა ორიოდე დღის წინ გამართა და 45 პირველადი მომართვა განიხილა. შედგა პირადი გასაუბრებები იმ განმცხადებლებთან, რომელთაც უკვე წარმოდგენილი ჰქონდათ გარემოებების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტაცია ხარვეზის შესავსებად და პირადი გასაუბრებაც მოხდა სამსახურიდან გათავისუფლებულებთან.

კომისიის წევრები აცხადებდნენ, რომ საქმეების შესწავლის გაჭიანურებას ხელს უწყობდა ის, რომ პედაგოგების მიერ შეტანილი განცხადებები იყო ზედაპირული და არ შეიცავდა მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც მტკიცებულებებად გამოდგებოდა. ხარვეზების აღმოსაფხვრელად დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის ნიმუშებიც გააცნეს სამუშაოადგილდაკარგულ მასწავლებლებს. კერძოდ, უნდა წარმოედგინათ მოწმეთა განმარტება, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ პედაგოგი საჯაროდ გამოთქვამდა პოლიტიკურ შეხედულებებს, აკრიტიკებდა ხელისუფლებას და ა.შ. ამ ფაქტის დასადასტურებლად პედაგოგებს კომისიისთვის უნდა წარედგინათ სკოლის თანამშრო-



მელთა, სხვა პედაგოგთა ახსნა-განმარტება, რომლითაც ისინი დაადასტურებდნენ აღნიშნულ ფაქტს იმის მითითებით, თუ როდის მოხდა ეს.

თუ განცხადებაში მითითებული იყო, რომ პედაგოგს შეხვედრა ჰქონდა გამგებელთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან ან ნებისმიერ სხვა თანამდებობის პირთან, რომელიც ზეწოლას ახდენდა მასზე ან აიძულებდა, დაეწერა სამსახურიდან წასვლის განცხადება განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო, უნდა წარმოედგინათ მოწმის განმარტება, რომელიც დაადასტურებდა შეხვედრის ფაქტს. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო პირი, რომელიც ესწრებოდა შეხვედრას, ასევე პირი, რომელმაც დაინახა შეხვედრაზე შესვლისას, ან პირი, რომელიც თან გაჰყვა და შეძლებდა, დაედასტურებინა შეხვედრის ფაქტი;

რომელიმე პარტიის საქმიანობაში ჩართვის გამო გათავისუფლების შემთხვევაში პედაგოგებს უნდა წარედგინათ ცნობა პარტიიდან, რომელშიც მითითებული იქნებოდა, როდის და რა საქმიანობას ახორციელებდა. თუ რომელიმე ტელე ან ბეჭდვითი მედია საშუალებაში განთავსებულ ინტერვიუს უკავშირდებოდა გათავისუფლება, პედაგოგებს უნდა წარედგინათ აღნიშნული ინტერვიუ. სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში კი უნდა წარედგინათ სასამართლოს გადაწყვეტილება, აგრეთვე, სხვა ნებისმიერი მასალა, დოკუმენტი, ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაეხმაროს კომისიას გადაწყვეტილების მიღებაში.

პედაგოგები იმდენად უკმაყოფილონი არიან კომისიის მუშაობით, რომ მასობრივ გამოსვლებსაც არ გამორიცხავენ. გუშინ საქართველოს პედაგოგთა და მშობელთა ასოციაციამ განათლების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს წერილით მიმართა, სადაც აღნიშნულია, რომ უკვე სამი თვეა, განათლების სამინისტროსთან შექმნილი კომისია მუშაობს სააკაშვილის რეჟიმის დროს პოლიტიკური ნიშნით დათხოვნილი პედაგოგების სამართლებრივი უფლებების აღდგენისთვის, მაგრამ საქმიანობის სამი თვის განმავლობაში საკითხი ვერ დაიძრა. კომისიამ ვერ დაადგინა კრიტერიუმები, რომლითაც განისაზღვრებოდა სააკაშვილის რეჟიმის პირობებში პედაგოგების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ძირითადი მახასიათებლები.

პედაგოგები მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა არის უმნიშვნელოვანესი საკითხი განათლების სისტემის სრულყოფისთვის და პირადად მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ, რათა ადგილიდან დაიძრას სკოლებიდან სააკაშვილის რეჟიმის დროს გამოყრილი პროფესიული კადრების სკოლაში აღდგენის საკითხი. გათავისუფლებულმა პედაგოგებმა მინისტრს ერთი კვირის ვადა მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასობრივ გამოსვლებს დაიწყებენ.

პედაგოგებმა „თავისუფალ საქართველოსთან" ერთად კომისიის თავმჯდომარე ალუდა გოგლიჩიძის გათავისუფლებაც მოითხოვეს. „თავისუფალი საქართველოს" გენერალურმა მდივანმა ალექსანდრე შალამბერიძემ განაცხადა, რომ ალუდა გოგლიჩიძემ მასზე დაკისრებულ მოვალეობას ვერ გაართვა თავი და ვერ შეძლო კომისიის საქმიანობის დაცვა პედაგოგების უფლებების აღდგენის საქმეში.

პედაგოგებს იმედი ჰქონდათ, რომ დაბრუნდებოდნენ სკოლებში და მათი უფლებები აღდგებოდა. „საქართველოს პედაგოგთა და მშობელთა ასოციაცია" უნდობლობას უცხადებს ალუდა გოგლიჩიძეს და აცხადებს, რომ კომისიის მხრიდან ეს არის დროის გაყვანა.

მინისტრის მოადგილისადმი უნდობლობა იმანაც გააჩინა, რომ მან პედაგოგებს განუცხადა, შაშკინი მეორე ვერ იქნებოდა და ვერ დააბრუნებდა ძველ სამუშაო ადგილებზე. სკოლებში გადანაწილებას გოგლიჩიძე მასწავლებლებს ახალი ვაკანსიების გამოჩენის შემთხვევაში დაჰპირდა.

# რებრენდინგი ანუ მობილიზაცია „ნაცმოძურად"

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

ყოფილი პრემიერის მიერ დაანონსებული 19 აპრილის პატრიოტული დიდი აქციის მოლოდინი აქვთ პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებსა და საერთოდ, საზოგადოებას.

პოლიტიკოსებს იმიტომ, რომ საპარლამენტო უმრავლესობას ამ დროისათვის შეიძლება 6 თვიანი, მოკლე პარლამენტარობა დაუსრულდეთ. პარლამენტის გარეთ დარჩენილ პოლიტიკოსებს ეხსნებათ მორიგი შანსი, მოირგონ თბილი და მატერიალურად უზრუნველყოფილი სკამები.

ჟურნალისტებისათვის აპრილის აქცია იქნება ნამდვილად არაჩვეულებრივი ექსკლუზივების მოპოვების საშუალება და ამიტომაც დიდი მოლოდინი ექნება ელექტრონულ თუ ბეჭდურ მედიას.

ყველაზე მეტად საზოგადოება არის ყურმიგდებული მომავალი „პატრიოტული" აქციისკენ.

რაც არ უნდა შეფუთონ „ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა მომავალი აქცია პატრიოტული ფასადით, მაინც ყველამ კარგად იცის, რომ მილევადობისკენ მიმავალი ყოფილი მმართველი ძალა რებრენდინგს ცდილობს. ეს მინიმუმ, რადგან საააპრილო აქცია სიღრმეში შეიძლება მეტს გულისხმობდეს.

ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ოქროს შუალედის ორგანიზაციად ითვლება, კარგა ხნის წინ მეუბნებოდა თავისი მეთაურის პირით, რომ აპრილში მოსალოდნელია საპარლამენტო არჩევნები.

თუ მართლა დაითხოვს პრეზიდენტი პარლამენტს და ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, მაშინ მარტო ის არ იკმარებს, რომ ვინმე იქნება რომელიმე ლიდერის რჩეული და ხალხი კრიტიკულად შეხედავს ასარჩევ სუბიექტს.

ერთ-ერთი ყველაზე წაგებული პოლიტიკური ძალა, რომელსაც მართლა არ უნდა აწყობდეს ახლო მომავალში არჩევნები, თავად „ნაციონალური მოძრაობაა". სავარაუდოდ, მის ოპონენტ ძალებს კიდევ ექნებათ პოლიტიკური კოზირები მ. სააკაშვილის პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ. ამას ემატება ისიც, რომ სავარაუდოდ, „ნაციონალებს" ან აღარ აქვთ ფინანსური შესაძლებლობები, ან კიდევ საკუთარი ჯიბიდან არ ამოიღებენ სარისკო საქმეში (არჩევნებში გასამარჯვებლად) ჩასადებად. კობა დავითაშვილი ალბათ ახლაც დარდობს იმას, რომ ერთხელ ბინის ფული ჩადო პოლიტიკური ძალის გასამარჯვებლად. საზღვარგარეთიდან ფულის შემოტანა ძალიან გაუჭირდებათ, რადგან, როგორც ამბობენ, ამის კონტროლის მექანიზმი აქვს სახელმწიფოს. „ჯიბით" ფულის შემოტანა არც ისე ადვილია, ემიგრანტთა და ტურისტების ჯიბით ფულის შემოტანა სარისკოა და თან ემიგრანტების აბსოლუტური უმრავლესობა „ნაციონალურ მოძრაობაზე" საშვილიშვილოდ გაბრაზებულია, ამიტომაც ეს ვერსია ნაკლებად მოსალოდნელია.

1 ოქტომბრამდე ზღვა ოდენობის ფულის ხარჯვამ არ გამოიღო სათანადო შედეგი. მარტო ჭიათურის მუნიციპალიტეტში წინასაარჩევნოდ 13 მილიონი ლარი „აორთქლდა", არადა ჭიათურაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი რეზულტატი აჩვენა „ნაციონალებმა". მასწავლებლები, სამთოელები, ადმინისტრაციული რესურსი ვერ აღმოჩნდა სათანადო საყრდენი და თავად მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის გაორმაგებული ოდენობაც ვერ გახდა გამარჯვების გარანტი.

ყველაზე მეტად მ. სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ ძალას ის აიმედებდეს, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ ვერ შეძლო იმ დაპირებების ერთბაშად ასრულება, რომელიც ასე ხიბლავდა ელექტორატს. „ქართული ოცნების" აქტივს ჯერ კიდევ არ მიუღია ანაზღაურება პარტიული სამუშაოს შესრულების გამო, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ" წინდაწინვე მისცა „დამსუფთავებელ" თუ სხვა სახელს ამოფარებულ აგიტატორებს და სხვა ტიპის აქტივს. ბოლოს დაემატა კიდევ ისიც, რომ სოციალურად დაუცველების სტატუსი მოეხსნა ათასობით ადამიანს, მართალია, დაახლოებით 30 ლარი ბევრი არ იყო, მაგრამ შიმშილისგან თავის დაღწევის საშუალება მაინც იყო. ამ ათასეულების იმედი აქვს 19 აპრილს „ნაციონალებს?" სავარაუდოდ, მოსალოდნელი რაოდენობა მაინც არ მივა რუსთაველის პროსპექტზე, რადგან „ხალხის ჩამოსატარებელი" სატრანსპორტო და გასტრონომიული შესაძლებლობები ნაკლებად ხელეწიფებათ 9 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის „გადამგდებ" პოლიტიკურ ძალას. აპრილი სოფლის მეურნეობისათვის გადამწყვეტი, აკორდული თვეა და გლეხების „ჩამოტარება" მაინც ნაკლებადაა შესაძლებელი. სოციალურად დაუცველები კი ძირითადად რეგიონებში ცხოვრობენ, ნაცაქტივის უმეტესობა იმითაა დამფრთხალი, რომ „უმუშევრობაში" აღებული 240 ლარი არავინ მოსთხოვოს დასაბრუნებლად და თანაც, თუ მათ ვინმე პარტიულ აგიტაციას დაავალებს, მათ იციან, რომ „ჩიჩინი ჭრის". მედროვე ყველა დროში მატერიალურ კეთილდღეობას ხედავს და არა პარტიული ერთგულების აუცილებლობას.

ისე კი, დღეს ჩვენთან დარეკეს და ჭიათურის „ნაცმომ" ძველ „თანამშრომლებს" აცნობა, რომ რებრენდინგი იწყება და იქნებ ვინმე განახლებულ „ნაცმოში" გაწევრდესო, თუმცა სურვილი არავის გამოუთქვამს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოზარ სუბარი: „ის დრო, როდესაც სააკაშვილი იძახდა, ყველანი ციხეშიო, წარსულს ჩაბარდა“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრ სოზარ სუბართან

***– ბატონო სოზარ, მძიმე მემკვიდრეობა გერგოთ, რა მიმართულებით მიმდინარეობს თქვენს უწყებაში რეფორმა, კონკრეტულად რას ცვლით?***

– უმძიმესი მემკვიდრეობა გვერგო. ეს იყო სფერო, სადაც ადამიანის წამება ყოველდღიურობის უცვლელი ნორმა იყო. ადამიანის სიცოცხლეს პატივს არ სცემდნენ, ადამიანის ჯანმრთელობა იგნორირებული იყო. ადამიანის პატივი და ღირსება ყოველწამიერად ილახებოდა. პატიმრის მიერ ყოველი წუთი ამ სისტემაში გატარებული მისი პატივისა და ღირსების შელახვა იყო. იმ სისტემის მიზანი იყო ადამიანების მოკვდინება. ჯერ კიდევ არ ვიცით, ყოველივე ეს რა კვალს დატოვებს იმ ადამიანების ცხოვრებაზე და რა შედეგს მივიღებთ თვეებისა თუ წლების შემდეგ.

***– საზოგადოებაზე აისახება?***

– ბუნებრივია. ჩვენ ხომ არ ვიცით, პოსტსტრესული სინდრომის შემდეგ რა ხდება? სად, როგორ ჰპოვებს ეს ყველაფერი ასახვას. რა კვალს ტოვებს ის ადამიანის შემდეგ ცხოვრებაზე, მის ფსიქიკაზე? ამ მძიმე შედეგებს გარკვეული პერიოდის შემდეგ „მოვიმკით“. ამ მხრივაც უმძიმესი მდგომარეობაა. ეს, რაც კონკრეტულად ადამიანებს ეხებათ. მეორე, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო – თითქოს ვიცოდით, რომ უმკაცრესი რეჟიმი იყო, მაგრამ სისტემა მოწესრიგებული იყო, მაგრამ აღმოვაჩინეთ, რომ მოვედით სისტემაში, სადაც ერთი გაწერილი დებულებაც კი არ არსებობს. მაგალითად, როგორ უნდა იმოქმედოს სოციალურმა მუშაკმა, როგორ უნდა იმოქმედოს, მაგალითად, სპეცრაზმმა.

***– შინაგანაწესი არ იყო?***

– არა, არც ერთი სტრუქტურის შინაგანაწესი არ იყო. მეტიც, სულ 19 დაწესებულებაა, აქედან დაახლოებით 7 თეორიულად არ არსებობდა. მაგალითად, ციხე აშენებულია, მაგრამ, ვის მიწაზე დგას ნაგებობა, ვერ გაიგებ. სამინისტროს ბალანსზე არ იყო ანუ სამართლებრივი სახელმწიფო არ იყო სააკაშვილის რეჟიმი. ამ ყველაფრის მოწესრიგებაში თვეები გავიდა. ასევე იყო მითი, რომ სააკაშვილმა კორუფცია მოსპო, მაგრამ კორუფცია უმაღლეს დონეზე არსებობდა.

***– კონკრეტულად?***

– ეს იყო სისტემა, სადაც კორუფცია უმაღლეს დონეზე იყო. კონკრეტულად ამ სისტემაში კორუფცია იყო კვებაში, კორუფცია იყო ჯანდაცვაში, კორუფცია იყო პატიმრის გადაყვანაში ერთი საკნიდან მეორეში, ერთი ციხიდან მეორე ციხეში, ოჯახის წევრებთან შეხვედრაში. ის, რომ მეუღლეს, შვილს მოფერებოდა პატიმარი, ფული ღირდა. ადამიანს, რომელსაც ეკუთვნოდა დახურული ტიპის დაწესებულებიდან ნახევრად ღია ზონაში გადაყვანა, ამაში 1500 დოლარი უნდა გადაეხადა. როდესაც ამაზე ვაცხადებდი, თავად ჩემს მეუღლესაც კი არ სჯეროდა, არასწორ ინფორმაციას გაწვდიანო, მეუბნებოდა, სანამ ყოფილ პატიმართან, მისი მეგობრის ახლობელთან არ მოუწია გასაუბრება, იმდენად დიდი იყო მითი, რომ სააკაშვილი კორუფციას ებრძვის.

***– კორუფციის ფაქტებზე თუ მიმდინარეობს ძიება?***

– ცხადია. კორუფციის ფაქტზე მეტყველებს კიდევ ერთი მაგალითი: ერთი პატიმრის კვებაზე 90 ლარი იყო თვეში გამოყოფილი. პარლამენტის თანხმობით 120 ლარი გახდა, ერთი მეოთხედით გაიზარდა, მაგრამ კვება ერთი მეოთხედით კი არ გაუმჯობესდა, ალბათ სამჯერ, ხუთჯერ გაუმჯობესდა. ერთმა თანამშრომელმა მითხრა, გიორგობისთვის იქნებ მენიუში ხორცი შევიტანოთო. ორი წლის წინ ყოფილა ხორცი გიორგობას და პატიმრები დღემდე იხსენებენო. არ დავუჯერე და გადასამოწმებლად ჩემს ძმას დავურეკე, რომელიც იმ დროს ციხეში იჯდა. ვიცოდი, ჩემი ძმა ციხის საჭმელს არ ჭამდა, ძირითადად მაღაზიაში ყიდულობდა რძის პროდუქტებს და ეს იყო მისი საკვები. არ ჭამდა იმიტომ, რომ ის საკვები არ იჭმეოდა. მითხრა ერთხელ, 2010 წლის 23 ნოემბერს ხორცი მოგვიტანესო და დაიწყო მოყოლა, ქათმის ბარკალზე როგორ იყო მაიონეზი მოსხმული. როგორც ჩანს, ქათმის ბარკალი მართლაც დაუვიწყარი აღმოჩნდა პატიმრებისთვის. ერთ-ერთმა პატიმარმა მითხრა, საკვებში კომბინირებული ცხიმი შედიოდა, რომლის საკვებად მიღება შეუძლებელი იყო, ძირითადად იყრებოდაო. მაღაზიებში ყიდულობდნენ პროდუქტს სამმაგ ფასებში. რამდენიმე დღის წინ ბათუმის ციხეში ვიყავი, სადაც ჩვეულებრივ მენიუში არის ქათმის ბარკალი.

***– ეს თქვენ რომ მიხვედით მაშინ, თუ ასეა?***

– არა, რეალურად შევცვალეთ. თუ ორ წელიწადში ერთხელ ქათმის ბარკალი ჰქონდათ, ახლა კვირაში სამჯერ აქვთ ქათმის ხორცი, რძე, ხაჭო, მაწონი, არაჟანი, ყველი. აქამდე საერთოდ არ იყო მენიუში რძის პროდუქტები. მენიუში, კვირაში ორჯერ ასევე არის საქონლის ხორცი, თევზი. ამას მხოლოდ იმიტომ კი არ ვყვები, რომ კვება გავაუმჯობესეთ, ასეც უნდა ყოფილიყო, იმიტომ ვყვები, რომ 30 ლარის მომატებით შეუძლებელი იყო, ასეთი თვისობრივი ცვლილება ყოფილიყო, რომ არა კორუფცია.

***– თქვენ ამბობთ, ის 90 ლარი პატიმრებს რომ მოხმარებოდათ, კვების რაციონი სხვა იქნებოდა?***

– 90 ლარი რეალურად ერთ პატიმარს რომ მოხმარებოდა, ის საკვებს შეჭამდა ანუ უვარგისი არ იქნებოდა. ერთ-ერთი პატიმრისგან ვიცი, რომ აქამდე ვერ ჭამდა, ოჯახი არჩენდა, ახლა ჩვეულებრივად იღებს ამ საკვებს. ეს არის ცვლილება, რაც კორუფციის აღმოფხვრას უკავშირდება. ვერ ვიტყვი, რომ სრულად აღმოიფხვრა, მაგრამ რაღაც დონეზე შემცირდა. ჯერ კიდევ იგივე კომპანიაა, ვინც საკვებს ამზადებს და ვინც მაღაზიებში პროდუქტი შეაქვს, ეს იმიტომ, რომ გარკვეულ საკითხებში ჯობია, ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიოთ წინ, ვიდრე გაუთვალისწინებლად და შეცდომა დავუშვათ. წინა ხელისუფლების მთავარი შეცდომა იყო ერთი ხელის დაკვრით გადაწყვეტილებების მიღება. უკვე გამოვაცხადეთ ტენდერი და, იმედი გვაქვს, რომ ტენდერში მონაწილეობას მიიღებენ ის კომპანიები, იმ სტანდარტს დააკმაყოფილებენ, რომელიც ჩვენ დავაწესეთ. 90-მდე სხვადასხვა მენიუა შემუშავებული. მთელი კვირა ზუსტად გვაქვს გაწერილი, რა მენიუ უნდა იყოს ორშაბათს, სამშაბათს და ა.შ. მაგალითად, ქალთა ციხეში, ბავშვთა ციხეში განსხვავებული მენიუა. ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულებაში განსხვავებულია. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში განსხვავებულია.



70-90-მდე განსხვავებული მენიუა შედგენილი. კომპანია ან კომპანიები, რომლებიც გამოცხადებულ ტენდერს მოიგებენ, მოვალენი იქნებიან, სწორედ ამ მენიუთი კვებონ პატიმრები. როგორც კი ამ პირობას დაარღვევენ, ან დაჯარიმდებიან, ან შევუწყვეტთ კონტრაქტს.

***– ხელშეკრულებაში ჩაიდება...***

– ბუნებრივია. ამდენად, მოვალენი იქნებიან, რომ ეს სტანდარტი დაიცვან. ასევე მალე გამოცხადდება ტენდერი მაღაზიებთან დაკავშირებით. მართალია, კერძო ბიზნესია, მაგრამ ქალაქში საცალო ქსელში რაც არის, ფასი იმაზე მეტი არ უნდა იყოს.

***– ყველაზე რთული სფერო ამ სისტემაში, როგორც ვიცი, ჯანდაცვა იყო, ამ მიმართულებით რა შეცვალეთ?***

– რა თქმა უნდა, ჯანდაცვა ერთ-ერთი ურთულესი სფეროა. წლის განმავლობაში 140-145 ადამიანი კვდებოდა.

***– სიკვდილიანობა ყველა მონაცემით ძალიან მაღალი იყო. ახლა როგორი მდგომარეობაა?***

– დიახ, ძალიან მაღალი იყო სიკვდილიანობა. ბოლო ოთხი თვის მანძილზე, რაც ჩვენ მოვედით, გარდაცვლილია 9 ადამიანი. მანამდე თვეში 10-დან 15 ადამიანი კვდებოდა ციხეში. უმძიმესი ავადმყოფები გავათავისუფლეთ, ზოგი აქტირებით, ზოგი პრეზიდენტს ვთხოვეთ და შეიწყალა, ზოგიც პირობით ვადამდე გათავისუფლებით, ზოგიც სასჯელის გადავადებით. აქტირებისა და სასჯელის გადავადების გარდა, ყველა აქტი ერთჯერადია. ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება არსებობს გარკვეულ დაავადებებზე, რომელიც ექვემდებარება სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებას. ჯანდაცვის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების კომისიები ადგენენ, ვის ეხება ეს და ვის არა. წლების განმავლობაში მუდმივი პრობლემა იყო, რომ ეს საკითხი მხოლოდ ორ სამინისტროს არ გადაეწყვიტა და სხვებიც ჩართულიყვნენ ამ პროცესში. ასეთი მოთხოვნა ჰქონდათ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ჩვენ დავეთანხმეთ და ამ პროცესში აქტიურად იღებენ მონაწილეობას ექიმთა ასოციაციები. ასევე შეიცვალა დაავადებების ჩამონათვალი, რომელიც აქტირებას ექვემდებარება. თუ მანამდე ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ 11 ადამიანი გათავისუფლდა, ბოლო ორ თვეში 30 პატიმარი გათავისუფლდა. ბევრი სასჯელის გადავადებით გავიდა. ამ პროცესში ჩვენ არ ვართ ჩართული ექსპერტიზის ბიურო და სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას. ეს მათ, ვისაც, მძიმე დაავადება აქვს. ისე, პრაქტიკულად, ყველა დაავადებულია. ყველას უნდა ვუმკურნალოთ.

***– ამ შემთხვევაში როგორია თქვენი მიდგომა?***

– ეს მეორე რთული ამოცანაა. ეს არის ურთულესი მემკვიდრეობა, რომელიც დაგვხვდა. მაგალითად, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მხოლოდ კედლები და ექიმები დაგვხვდა. არის, მაგრამ გაფუჭებულია რენტგენის აპარატი, ასევე ექოსკოპიის აპარატი, რომელიც მწყობრიდანაა გამოსული. არსებობს ანალიზების ლაბორატორია, რომლის პასუხი არასდროს თანხვედრაში არ მოდის ქალაქში გაკეთებულ სხვა ლაბორატორიის პასუხთან. არსებობს სამედიცინო პერსონალი, რომელთა ნაწილი მართლაც ღირსეულად ემსახურებოდა თავის პროფესიას და ნაწილი, რომელიც ადამიანთა წამებაში იღებდა მონაწილეობას ან თვალს ხუჭავდა.

***– როგორც ვიცით, ტუბერკულოზი ერთ-ერთ ურთულესი დაავადებაა ციხის პირობებში. ამ პრობლემის მიმართ თქვენი მიდგომა როგორია?***

– ტუბერკულოზის დაწესებულებაში მკურნალობა თითქმის ჩაშლილი იყო. დაგვხვდა ტუბერკულოზის ახალი საავადმყოფო, რომელიც აშენებულიც და გახსნილიც იყო სააკაშვილის მიერ, მაგრამ საავადმყოფო ფაქტიურად არ იყო, არ ფუნქციონირებდა. რა გავაკეთეთ ამ მიმართულებით? პირველი, ქალაქის ჯანდაცვასთან მჭიდრო თანამშრომლობა დავიწყეთ. თვეში 1200 პატიმარი გაგვყავს სამკურნალოდ. ზოგს ოპერაციული მკურნალობა სჭირდება. ამაში დაახლოებით 250-300 ათასი ლარი მიდის თვეში. დიდი ფულია, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ამად ღირს, სახელმწიფო ვალშია ამ ადამიანების წინაშე, რადგან ამ სახელმწიფომ მათ ცემით, წამებით, სტრესით, არასწორი მკურნალობით ან საერთოდ რომ არ მკურნალობდნენ, იმით ჯანმრთელობა მოუსპო. თითქმის 2 მილიონი დაიხარჯა იმაში, რომ ტუბდისპანსერი როგორმე დამსგავსებოდა მაღალი დინის სამედიცინო დაწესებულებას, იქ დღეს მართლაც მაღალი დონის სამედიცინო აღჭურვილობაა. მკურნალობა მაღალ დონეზეა. კვება გაუმჯობესებულია, ყველა პატიმარს კვირაში 350 გრამი თაფლი ეძლევა. ამ ადამიანებისთვის თაფლი აუცილებელია. ტუბდისპანსერში ერთი დღის მენიუ ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე სხვა დაწესებულებაში. მხოლოდ ერთი ეზო იყო, პატიმრებმა პროტესტი გამოხატეს. დიდი ეზო არის, მაგრამ ყველა იქ ვერ ისეირნებს, რადგან შეიძლება ერთმანეთისგან გადაედოთ და უარესი ფორმა ჩამოყალიბდეს. კიდევ ერთი ეზოს მოსაძებნად დრო დაგვჭირდა. მესამე ტიპის დაავადებულებთან დაკავშირებით იძულებულები გავხდით, ისევ ძველ შენობაში დაგვეტოვებინა. ახალ შენობაში ნახევარი ადგილები ცარიელია იმიტომ, რომ მესამე ეზო არ გვაქვს, სადაც ისეირნებენ. ეს ის ტიპია, რომელთა აღრევაც არ შეიძლება. კიდევ ერთი პრობლემა ექიმების ნაკლებობაა.

***– სამოქალაქო სექტორიდან არ მიდიან?***

– მიდიან, მაგრამ საკმარისი არ არის. შტატი რომ დავამატოთ ბიუჯეტის კანონში ცვლილება უნდა შევიდეს, სამთვიანი პროცედურაა. უფრო ეფექტური, სწრაფი და იაფი გამოსავალი მოვნახეთ: ტენდერი გამოვაცხადეთ სასწრაფო დახმარების სამსახურებს შორის, რაშიც მილიონ 200 ათასი უნდა დაგვჭირვებოდა, იმას 450 ათასად ვაკეთებთ. ერთი ექიმი კი არა, ექიმთა ბრიგადა იმორიგევებს 24 საათის განმავლობაში ყველა დაწესებულების ეზოში სასწრაფო დახმარების მანქანით, წამლებით. თუ გადაყვანა იქნება საჭირო, თვითონ გადაიყვანენ, გამოცდილი ექიმები არიან. ერთი ნიუანსია, როდესაც ექიმი დიდხანს არის ამ სისტემაში, რაღაცნაირად ერწყმება სისტემას, გავლენის ქვეშ ექცევა. სასწრაფო დახმარების ექიმები რეალურ დიაგნოზს უწერენ პატიმარს და შემდეგ ჩვენ მოვალენი ვართ, მათ მიერ დაწერილი დიაგნოზით ვუმკურნალოთ პატიმარს. ერთგვარი ურთიერთკონტროლია, რაც, დარწმუნებული ვარ, კარგ შედეგს მოგვცემს. უნდა აღვნიშნო, რომ ყველაზე ხშირი ოპერაციის გაკეთება გვიხდება ხერხემლის დაზიანებაზე, ცხვირის მოტეხილობასა და შემდეგ არასწორ შეხორცებაზე. ყოველივე წამების მკაფიო კვალზე მეტყველებს. კიდევ ერთი პრობლემა, რაც დაგვხვდა, იყო ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე დამოკიდებულება. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა. ციხის კადრების გასვლის შემდეგ დაიწყეს უთვალავი რაოდენობით ფსიქოტროპული წამლების მიცემა. რამდენიმე დაწესებულებაში უკვე ამ პრობლემას გავუმკლავდით. ამაში ჯანდაცვის ექსპერტებიც გვეხმარებიან. ფსიქოლოგები შევიყვანეთ ყველა ციხეში, ასევე იურისტები, რომ პატიმრებს ან მათ ოჯახის წევრებს იურიდიული დახმარება გაუწიოს. ყველაფერს საზოგადოებასთან ერთად ვაკეთებთ.

***– კონტროლის მექანიზმი საზოგადოებას აქვს?***

– აქვს და არა მხოლოდ კონტროლს ახორციელებენ, ჩართულები არიან. მიმაჩნია, რომ მონიტორინგი მინისტრის ქოლგის ქვეშ არ უნდა არსებობდეს. ამიტომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი, უჩა ნანუაშვილი და კიდევ 5 ადამიანი, სხვადასხვა დარგის ექსპერტები შეარჩევენ მაღალ პროფესიულ მონიტორინგის ჯგუფს. მე ამ საქმეში არ ვერევი და ხელს ნურავინ ჩემკენ გაიშვერს. მე კი არ ვაკონტროლებ ჩემს თავს, არამედ ის, ვისაც ამის უფლება კონსტიტუციამ მისცა.

***– ბატონო სოზარ, ყველაზე მძიმე მდგომარეობა რომელ ციხეშია?***

– ორთაჭალაში, ნომერ პირველ დაწესებულებაში, ე.წ. კრიტში. ეს ციხე სასწრაფოდ დასახურია.

***– როდის დაიხურება?***

– ამ შაბათ-კვირას ბოლო პატიმარი დატოვებს ამ ციხეს. პატიმრების გადანაწილება დაწყებულია. მე-6 დაწესებულებაში გადაგვყავს. ეს საშინელი ციხე ერთხელ და სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდება. თუმცა, რემონტი არაერთ ციხეს სჭირდება. მაგალითად ბათუმის, ზუგდიდის, მე-12 დაწესებულებას, მე-9 დაწესებულებას. ყველაფერი ერთბაშად, ცხადია, ვერ ესწრება, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს გავაკეთებთ. შენდება ახალი დაწესებულება გურიაში, რომელიც გათვლილი იყო 5500 კაცზე, რომელიც 4300 ჩამოიყვანა წინა ხელისუფლებამ, ჩვენ 1600-ზე, რადგან აღარ არის საჭირო.

***– რა მოტივით?***

– ის დრო, როდესაც სააკაშვილი იძახდა, ყველანი ციხეშიო, წარსულს ჩაბარდა.

***– მიდგომები შეიცვალა თუ ფიქრობთ, რომ დანაშაულმა იკლო?***

– მიდგომები შეიცვალა, დანაშაული არსებობს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და დანაშაულს ებრძვიან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მაგრამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში 3900 ლარის თაღლითობის გამო 25 წელს არ უსჯიან სამი შვილის დედას. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში რაღაც ჯართის ქურდობისთვის 19 წლის ბიჭს 15 წელს არ უსჯიან. არსად არც 4 წლით უშვებენ 15 წლის ბიჭს ციხეში 15 ლარის ღირებულების ნიგვზის მოპარვისთვის.

***– სხვა რა პრობლემებია?***

– როგორც კი იწყება რეჟიმის შერბილება, მაშინვე ჩნდება საშიშროება, რომ თვითმმართველობის რაღაც ელემენტი გაჩნდეს. „კანონიერი ქურდები“ აღარ მართავენ ციხეს, მაგრამ მცდელობაა, ვიღაც ავტორიტეტმა თავისი „წესრიგი“ დაამყაროს. ეს არის მუდმივი ბეწვის ხიდი. არ გადახვიდე ძალადობაში, არ დაარღვიო ადამიანის უფლებები, მაგრამ ადმინისტრაციის პარალელურად ვიღაცამ თავისი მმართველობა დაუშვას.

***– იყო მსგავსი შემთხვევა?***

– იყო. რამდენიმე დღის წინ სერიოზული რეიდი ჩავატარეთ და რამდენიმე ადამიანი დაკეტილ რეჟიმში გადავიყვანეთ. გარკვეულ ფაქტებზე საქმეც აღიძრა. ხშირად არის ხმაური საზოგადოებაში, ვიღაცამ პირი ამოიკერა, ვიღაც შიმშილობს, ვიღაცამ დაზიანება მიიყენა, არ არსებობს მსოფლიოში ციხე, სადაც მსგავსი რამ არ არსებობს.

***– სიმკაცრეს შეინარჩუნებთ?***

– რეჟიმი ბევრად უფრო ლიბერალური იქნება, ვიდრე ადრე იყო, მაგრამ არავის მივცემთ უფლებას, რომ თვითმმართველობა გააჩინოს. ყველაფერზე ძალიან სწრაფად ვახდენთ რეაგირებას. ამ მხრივ საფრთხე ციხეში არ არსებობს. თუ საჭირო იქნება ძალის გამოყენება, სპეცრაზმსაც გამოვიყენებთ. ის, რომ წამება არ არის, ეს არ ნიშნავს, რომ წესრიგი არ იქნება, წესრიგი ძალიან მკაცრად იქნება დაცული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანებს საუბრის საშუალება არ ექნებათ.

***– ბატონო სოზარ, როდესაც თქვენ დაინიშნეთ, საუბარი იყო, გასაგებია მინისტრის პოზიცია, თქვენი პიროვნება, მაგრამ რა უნდა შეიცვალოს, როდესაც სისტემაში იგივე პერსონალი რჩება, თუ ფიქრობთ, პოლიტიკური ნებაა მთავარი?***

– პოლიტიკური ნება, ცხადია, მთავარია. ამ სისტემაში ვინც იყო, ყველამ იცოდა, რა ხდებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა დამნაშავეა. მაგალითად, ჩემს ძმას ვკითხე, ვინ იყვნენ ის თანამშრომლები გლდანის ციხეში, რომლებიც ადამიანურად იქცეოდნენ. ათამდე თანამშრომელი ჩამოთვალა, რომლებიც პატიმართა უფლებებს არ არღვევდნენ, პირიქით, ცდილობდნენ, გვერდით დასდგომოდნენ. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ სასიამოვნო იყო, როდესაც ცოტნე გამსახურდიამაც ზუსტად იგივე ადამიანები დაასახელა. ცხადია, ჯერ კიდევ ბევრი შემორჩა, მინიმუმ, გულგრილად იქცეოდა.

# კახა კუკავა: „ივანიშვილს ქვეყნის მართვის გეგმა არ აქვს“

## ხელისუფლების ქმედებები შევარდნაძის უძრაობის ხანას წააგავს

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან



***– ბატონო კახა, ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია ვანო მერაბიშვილის განცხადება. თქვენ როგორ გაიგეთ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?***

– ეს არის ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მცდელობა ან დესტაბილიზაციისა, ან ილუზია დესტაბილიზაციისა. ეს, საბოლოო ჯამში, მცდელობა გამოვა თუ ილუზია, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენები აპრილამდე. რამდენად იქნება ქვეყნის შიგნით უკმაყოფილება და რამდენად იქნება ქვეყნის გარეთ უკმაყოფილება საქართველოს ახალი მთავრობის მოქმედების გამო და რამდენად ეფექტურად შეძლებს საქართველოს ახალი მთავრობა ამ პროცესებთან გამკლავებას. მე მომეჩვენა, რომ გუშინდელი კომენტარები ხელისუფლების წარმომადგენლებისა იყო საკმაოდ ნერვული, აღგზნებული და არაკომპეტენტური.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ შეშინდა ხელისუფლება?***

– შეეშინდა გადაჭარბებული ნათქვამია, იმიტომ რომ ჯერჯერობით საშიშროებას ჩვენ ვერ ვხედავთ, იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო აქციაზე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა გამართეს პუშკინის სკვერში, შეიკრიბა 300 ადამიანი. აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა გაიზარდოს ამ გუნდის ძლიერება აპრილამდე, რთული წარმოსადგენია, რომ ეს მასშტაბური ხასიათის აქციას წარმოადგენდეს. სწორედ აქედან გამომდინარე, რომ ჯერჯერობით ეს საფრთხე რეალური არ არის, მომეჩვენა, რომ გუშინდელი კომენტარები ხელისუფლებისა იყო აშკარად არაპროფესიული და ისევ ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე ასხამს წყალს.

***– რომელ კომენტარებს გულისხმობთ?***

– მოგახსენებთ, როდესაც ჩვენ ვაწყობდით ხოლმე 100-ათასიან მიტინგებს, ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მაშინ ხელისუფლებაში იმყოფებოდა, ამას არ იმჩნევდა და ამბობდა, ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა, მოაწყონ რაც უნდათ, ეს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ნორმალურია და ასე შემდეგ. ახლა, როდესაც ნაციონალური მოძრაობა აწყობს ალბათ 2000-კაციან აქციას და ამაზე კეთდება განცხადებები, რომ ეს კონფრონტაციაა და, თუ ასე უნდათ, მიიღებენ საკადრის პასუხს და ასე შემდგომ. ეს არის ზუსტად ის, რაც უნდა ნაციონალურ მოძრაობას. გუშინ ამერიკის ელჩის კომენტარში იგრძნობოდა კიდევაც ეს პოზიცია, რომ რა მოხდა, მიტინგის მოწყობა თავისთავად არანაირ აკრძალულ ქმედებას არ წარმოადგენს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ სწორი იქნება, მთავრობამ მიტინგისთვის მზადება არ შეიმჩნიოს და ამის გამო არც ანერვიულდეს, მაგრამ პარალელურად უნდა იმუშაონ ძალიან ეფექტურად პროკურატურისა და სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა, რომ აღკვეთონ ის მოვლენები, რაც შეიძლება თან ახლდეს მიტინგს, დაემთხვეს, ან წინ უსწრებდეს.

***– როგორ ფიქრობთ, დესტაბილიზაციის გაღვივებას ცდილობს ნაციონალური მოძრაობა?***

– ბევრი სხვადასხვა მომენტია, დაწყებული იქიდან, რომ პრეზიდენტს აქვს მთავრობის გადაყენების უფლება, რომ პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება. გარდა ამისა, შეიძლება მოხდეს პროვოკაცია უფრო მასშტაბური, ვიდრე ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა, რომელიც მსხვერპლით შეიძლება დასრულდეს. ამას შეიძლება თან მოჰყვეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მთავრობების მხრიდან განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი აჩერებენ საქართველოს დღევანდელ მთავრობასთან თანამშრომლობას. მაგალითად, გაგახსენებთ, 1991 წლის 2 სექტემბრის შემდეგ საქართველოში შეიქმნა ისეთი ვითარება, თითქოს ქართველი ხალხი აღდგა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. არადა, მაშინ საქართველოს მოსახლეობის სულ 5% გამოდიოდა გამსახურდიას წინააღმდეგ, მაგრამ, იმდენად კარგად იყო ეს ყველაფერი მართული და გაშუქებული, რომ მართლაც იქმნებოდა ასეთი შთაბეჭდილება, რომ საქართველო და განსაკუთრებით თბილისი გამოდის მთავრობის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, დაახლოებით ასეთი სცენარი მზადდება – 19 აპრილი უნდა გახდეს 2 სექტემბერი, სადაც მოხდება გარკვეული ტიპის ექსცესი, რის შემდეგაც, ალბათ, 27 აპრილს ჩაიშლება შუალედური არჩევნები. ეს გეგმაა, მე არ ვფიქრობ, რომ ასე მოხდება. მე წარმომიდგენია, რომ ნაციონალური მოძრაობა ასე გეგმავს და რამდენად შეძლებს ხელისუფლება ამის აღკვეთას, ეს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

***– ალბათ, გეგმავენ იმასაც, რომ სწორედ ამ ექსცესების დროს დაითხოვოს პრეზიდენტმა მთავრობა და პარლამენტი?***

– ეს იქნება, ალბათ, კულმინაცია, რომ პრეზიდენტი გამოვიდეს არბიტრის როლში ამ მოვლენების დროს და თქვას, რომ რადგან ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართველი ხალხის ორი მოძმე ჯგუფი, ამიტომ ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. მე იმედი მაქვს, რომ ნაციონალები იდეალურად ამ პროცესს ვერ ჩაატარებენ და, რაც მთავარია, იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება ქვეყნის მართვას შეუდგება.

***– საუბრობენ იმის შესახებ, რომ დღის წესრიგს ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობა უდგენს. რატომ ვერ ახერხებენ, რომ იგნორირება გაუკეთონ მათ განცხადებებს თუ გამონათქვამებს?***

– არის ამის რამდენიმე მიზეზი, მე ამაზე არაერთხელ მისაუბრია, პირველი ის, რომ ხელისუფლებას არა აქვს საკუთარი დღის წესრიგი, ხელისუფლებას არა აქვს ის მიზნები, რომლის მიღწევასაც ის ისურვებდა მოკლევადიან პერიოდში. აი, ჩვენ ვისმენთ, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ასეთ გეგმებს, რომ წელს არა უშავს, გაისად კარგად და ორი წლის შემდგომ – ძალიან კარგად... ეს არ არის გეგმა. სააკაშვილს ყოველთვის ჰქონდა მკაფიო გეგმა, როდესაც ის ქვეყანას მართავდა, რა თქმა უნდა, არასწორი, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის მიუღებელი, მაგრამ ის ყოველთვის იყო მკაფიო და ის ყოველთვის გვეუბნებოდა კონკრეტულ შედეგებს, რომ დავაგე 200 კილომეტრი გზა, დენის მიწოდება გახდა 24-საათიანი და ასე შემდგომ. დღევანდელ ხელისუფლებას არა აქვს ასეთი კონკრეტულად დასახული მიზანი, არც საშინაო და არც საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში. მათი პოლიტიკა მდგომარეობს ტივტივში, რომ ხელისუფლება არსებობს. ვერ დამისახელებთ რომელიმე სამინისტროს განხრით რაიმე ამოცანას, რის მიღწევასაც ხელისუფლება ისურვებდა. სხვათა შორის, ეს არის პოლიტიკური ტექნოლოგიის ერთ-ერთი სახეობა, რომ ზოგჯერ ასეთი მიზნები არის ილუზორული. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს ნატოში ინტეგრაცია იყო ილუზორული, მაგრამ თქვენ გახსოვთ, რომ მთელი ქვეყანა როგორი დაძაბული იყო, ერთი სამიტიდან მეორე სამიტამდე, ერთი მინისტერიალიდან მეორე მინისტერიალამდე ვცხოვრობდით. მოგვცემენ თუ არა მაპს, ჩამოვა თუ არა გენერალური მდივანი და გარკვეული დინამიკა არსებობდა. აი, ასეთი დინამიკა და სტრატეგია დღევანდელ ხელისუფლებას არ გააჩნია. მათი ერთადერთი სტრატეგიაა, რომ უნდა იარსებონ და უნდა იყონ თვითონ. ცოტათი შევარდნაძის უძრაობის ხანას წააგავს ეს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ახალმა ხელისუფლებამაც ილუზორულ სიტუაციაში უნდა ამყოფოს ქვეყანა?***

– მე მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ უნდა დაისახოს ასეთი ამოცანები, რომელსაც მიაღწევს, თუნდაც ეს იყოს მცირე და შედარებით უმნიშვნელო ამოცანები და 2013 წლის ბოლოსთვის ხელისუფლებამ უნდა ჩააბაროს ქართველ ხალხს ისეთივე ანგარიში, როგორსაც მიხეილ სააკაშვილი აბარებდა ხოლმე, რომ დავაგე გზები და დენი არის 24 საათი. ასეთი პრინციპული მიღწევები დღევანდელი ხელისუფლებისთვის არის აუცილებელი, იმისთვის, რომ მათ შექმნან დღის წესრიგი და არა ნაციონალურმა მოძრაობამ. მეორე მიზეზი, რის გამოც ახალი ხელისუფლება მართვის სადავეებს ხელს უშვებს, ჩემი აზრით, ეს არის ძალიან არაკვალიფიციური და ხშირად პირად წყენებზე, ბოღმებზე, ემოციებზე და შურზე აგებული მიდგომები პოლიტიკის მიმართ. ჩვენ ვიცით, რას ეფუძნება პოლიტიკური სტაბილურობა დასავლეთის ქვეყნებში. ის ეფუძნება მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას. ამერიკის შეერთებულ შტატებში არავითარ შემთხვევაში არ მოხდება დესტაბილიზაცია, ვინაიდან იქ არის ორი პარტია, რომელიც ერთმანეთთან თანამშრომლობს, ყველა დანარჩენი პარტია აკრძალულია და როგორც კი გამოჩნდება პოლიტიკურ ასპარეზზე, ფიზიკურ ლიკვიდაციას აკეთებს იქაური სპეცსამსახურები ამ პოლიტიკური პარტიისა. იგივე ხდება ევროპის ქვეყნებშიც, არის სისტემური პარტიები, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენციის პარალელურად ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ხოლო ნებისმიერი სხვა პარტია იქ გამოცხადებულია ტერორისტად და აკრძალულია კონსტიტუციით. საქართველოშიც უნდა ჩამოყალიბდეს ასეთი ჯანმრთელი პოლიტიკური სისტემა. ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბდეს ვინ არის მისი ოპოზიცია, ვისთან თანამშრომლობას ისურვებდნენ ისინი და ვისთან კონკურენციას ისურვებდნენ. ხოლო ნაციონალური მოძრაობა უნდა იქნეს აკრძალული და მიცემული პასუხისგებაში. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის სტაბილურობას არაფერი არ დაემუქრებოდა არც ერთ არჩევნებში. მაგრამ ხელისუფლებას არა აქვს ჯანმრთელი წარმოდგენები ამ პროცესზე, ჩვენ მოვისმინეთ მათი განცხადებები, რომ თურმე მრავალპარტიული დემოკრატია ყოფილა ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში არის გაერთიანებული მრავალი სუბიექტი. ამას ელემენტარულად წაკითხვა უნდა, რომ ეს არის კოალიციური მთავრობა და არა მრავალპარტიული დემოკრატია. მე ვფიქრობ, რომ ეს ორი ძირითადი მიზეზია, რატომაც ვერ ახერხებს დღევანდელი ხელისუფლება სტაბილური გარემოს შექმნას. მათ პრინციპულად არ უნდათ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან თანამშრომლობა. მათი მიდგომები პრინციპულად არასწორია.

***– ისმის ასეთი მოსაზრებებიც, რომ პიარის კუთხით მოიკოჭლებენ. ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ეს საზოგადოებამდე ბოლომდე ვერ მიაქვთ.***

– პიარიც არის მართვის ნაწილი და აქაც არის არაეფექტურობა. მე მახსოვს, დეკემბერი როცა ჩამთავრდა და ახალი წლის წინა დღეები იყო, გამოვიდა ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ცნობილი პიარსტრატეგი შალვა რამიშვილი და ტელევიზიიდან თუ ფეისბუქიდან აყვედრიდა მთელ საქართველოს, საბავშვო ბაღში გადასახადები გაუქმდაო, მეტი რაღა გინდათ, რატომ ხართ უმადურებიო. თებერვალი მთავრდება, ბაღში ბავშვები ისევ იხდიან გადასახადს და ეჭვი მაქვს, რომ კიდევ რამდენიმე თვე ეს გაგრძელდება. სწორი პიარი, იცით, რას გულისხმობს? იმას, როგორც ამას აკეთებს ყველა კომპანია, ვისაც პიარი ესმის. სააკაშვილი რომ ყოფილიყო, მივიდოდა საბავშვო ბაღში, ბავშვებთან და მშობლებთან დადგებოდა და დაეკითხებოდა მათ, გადაიხადეთ თქვენ გადასახადი? ისინი კი უპასუხებდნენ: – ჩვენთვის ბაღი უკვე უფასოა. პიარი არის ყოველთვის შედეგი, ხოლო როდესაც შენ ადამიანს რაღაცას ჰპირდები და მერე იმას არ ასრულებ, ეს არის შავი პიარი. ჯობია, არ დაჰპირდე არაფერს საზოგადოებას, ჯერ გააკეთო და მერე ამ შედეგს გაუკეთო კარგი გაშუქება. ვიდრე ტყუილი დაპირებები, რომ ჩვენ დავაბრუნებთ სამართლიანობას, სამართლიანობა კი არ ბრუნდება, ჩვენ დავსჯით დამნაშავეებს და ჩვენ კი ვერ ვხედავთ ციხეში ჩასმულ ნაციონალებს. პენსიას გავხდით 220 დოლარსო და ვხედავთ, პენსია რამდენიც არის. ხელისუფლება უნდა იყოს ორიენტირებული კონკრეტულ, თუნდაც პატარა, მაგრამ რეალისტურ წარმატებებზე. მე მოგიყვანეთ ნატოს მაგალითი, ნატო შეიძლება საერთოდ არ აინტერესებდა ქართველი ხალხის უმრავლესობას, მაგრამ ეს იყო კონკრეტული მიზანი, წარმოსახვითი ორიენტირი, რომელიც დაისახა საქართველოს ხელისუფლებამ და მთელი მისი პიარი აგებული იყო ნატოსთან მიახლოებაზე.

***– თქვენ საუბრისას უკვე რამდენჯერმე ახსენეთ ნატოში ინტეგრაცია, თუმცა საზოგადოება ამ ბოლოდროინდელმა პროცესებმაც დაარწმუნა, რომ ნაციონალების მიზანი არასდროს ყოფილა ნატოში ინტეგრაცია. არც ის ყოფილა სააკაშვილის მიზანი, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილიყო ეს მუხლი. როგორც გაირკვა, ისინი სრულ ხელშეუხებლობას ითხოვდნენ.***

– რა თქმა უნდა, ნატო არის არარეალური, წარმოსახვითი მიზანი. ნატოში ინტეგრაცია საქართველოსთვის არ არის რეალური დღის წესრიგი, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი 5-10 წლის მანძილზე. მე ვფიქრობ, რომ როგორც ნატო იყო საბაბი იმისა, რომ შეექმნათ ერთგვარი კონსტიტუციური ჩიხი, ისე იმუნიტეტიც იყო. ბოლოს და ბოლოს, კონსტიტუციაში ჩაიწერება თუ არა ეს იმუნიტეტი, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, ყოველთვის შეიძლება კონსტიტუციაში სამართლებრივი ხვრელის მოძებნა. ეს იყო მათი მხრიდან მცდელობა, შეექმნათ ჩიხი, იმიტომ რომ მათ იცოდნენ, ხელისუფლებას ჩააყენებდნენ ამითი უხერხულ მდგომარეობაში. ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა და აღიარა, რომ ის სთავაზობდა ნაწილობრივ პოლიტიკურ ამნისტიას ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო შემდგომ ნაციონალურმა მოძრაობამ თვითონ თქვა ამაზე უარი. მე არ მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობისთვის პრიორიტეტული იყოს ახლა ქაღალდზე დაწერილი ამნისტიის მიღება. მათ ეს ამნისტია მიღებული აქვთ უფრო მაღალი ინსტანციებიდან ქვეყნის გარეთ და ამჟამად მე სულაც არ ვფიქრობ, რომ სააკაშვილი წუხდება ამ დაკითხვებით და შერჩევითი მართლმსაჯულებით, რომელიც დღეს ხორციელდება საქართველოში. მე ვფიქრობ, რომ მათ ეს პროცესი ძალიან აწყობთ, ქვეყნის შიგნით პიარში რომ გამოვიდეს და ხედავთ, რა სიხარულით იმეორებს ფრაზებს ბედნიერი სახით, რომ აი სად არის ჩემი წილი ბენზინის ბიზნესში, რომელსაც ამბობდნენ, ხომ ვერ აღმოაჩინეს... და მეორე მხრივ ძალიან სჭირდება მას ეს შერჩევითი მართლმსაჯულება, რომელიც ჩვენთან ხორციელდება, ქვეყნის გარეთ ის ამას, როგორც პოლიტიკურ დევნას, ისე წარმოაჩენს.

***– გამოდის, რომ მათი მიზანი იყო, მოლაპარაკებები ჩაშლილიყო და მას ჰქონოდა მთავრობის დათხოვის უფლება?***

– რა თქმა უნდა, იმდენად მნიშვნელოვანი ბერკეტია სააკაშვილისთვის, რომ ამას არაფერზე გაცვლის. ეს არის ძალიან რეალური ბერკეტი, კონსტიტუციური ბერკეტი და ძალიან რეალურიც არის, რომ აპრილში ის მას გამოიყენებს, იმიტომ რომ „ქართულ ოცნებას“ არ ექნება საპასუხო სვლა. რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, როდესაც თავიდან ბოლომდე ჭიპლარით მიკრულია ვაშინგტონზე და ვხედავთ ჩვენ, რომ მინისტრები დილიდან საღამომდე გამოძახებული არიან ვაშინგტონში თათბირებზე. ასეთი მთავრობა, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევს სააკაშვილის მიერ პარლამენტის დათხოვნას. ისინი იძულებული იქნებიან, დაემორჩილონ ამას და მოემზადონ ახალი საარჩევნო კამპანიისთვის უკვე სააკაშვილის მთავრობის პირობებში.

***– რამდენად რეალურია ეს ყველაფერი, რაზეც თქვენ საუბრობთ? წავა ამაზე სააკაშვილი?***

– ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, სააკაშვილს ექნება თუ არა გამარჯვების თუნდაც მიზერული შანსი. ვიცით, რომ ის არის ძალიან რისკიანი, ხშირად იღებს გაუწონასწორებელ გადაწყვეტილებებს. ბევრი ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ მაინც მოიგებს ვადამდელ არჩევნებს, მე ვფიქრობ, რომ თანაფარდობა ისეთი აღარ იქნება, როგორიც ეს იყო პირველ ოქტომბრამდე. იმიტომ, რომ პირველ ოქტომბრამდე „ქართულ ოცნებას“ ენდობოდა ძალიან ბევრი სოციალური ჯგუფი, რომელიც აღარ ენდობა, ამ ხალხმა დაინახა, რომ მათი იმედების განხორციელება არ არის დაკავშირებული „ქართულ ოცნებასთან“. ხოლო მეორე მხრივ ნაციონალური მოძრაობისთვის ამჟამად მოხსნილია ის ერთგვარი ლეგიტიმურობის ჩარჩო, მათ ერთხელ გადააბარეს ხელისუფლება და ახლა შეუძლიათ თქვან, რომ ახლა ჩვენ მოვიგეთ არჩევნები. მე ვთვლი, რომ თუ ნაციონალები გაიმარჯვებენ, თუნდაც გაყალბების შედეგად, ამას დასავლეთი მაინც აღიარებს. სააკაშვილს სჭირდება იმის გარანტია, რომ იმდენ ხმებს მაინც აიღებს, რომ შემდეგ ორზე თუ სამზე გამრავლების შემდეგ ეს 50%-ს დაემგვანოს. ამას ახალი ხელისუფლებაც ხშირად ამბობს და კარგია, რომ ეს გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს იქნება არჩევნები არა ახალი მთავრობის ხელში, არამედ არჩევნები ძველი მთავრობის ხელში. თქვენ წარმოიდგინეთ, რამხელა ფსიქოლოგიური შოკი იქნება ქართველი საზოგადოებისათვის, კიდევ ვანო მერაბიშვილი რომ ჩაჯდეს შინაგან საქმეთა მინისტრის სავარძელში, ადეიშვილი იუსტიციის მინისტრის სავარძელში და ასე შემდეგ. ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ აქამდე საქმე არ უნდა მიიყვანოს დღევანდელმა ხელისუფლებამ და აღკვეთილ უნდა იქნეს ეს, მათ შორის რეპრესიული მეთოდებითაც. დღეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა გზას აირჩევს „ქართული ოცნება.“ თუ აირჩევს აღკვეთის გზას, მაშინ ჯობია, ეს პარლამენტის დათხოვნამდე მოხდეს, ვიდრე პარლამენტის დათხოვნის შემდგომ, ვინაიდან დღეს მათ აქვთ კონსტიტუციური და ლეგიტიმური უფლებები, რომ ეს ყველაფერი აღკვეთონ. ახლა თუ მთავრობა გადააყენა და პარლამენტი გადააყენა სააკაშვილმა და მერე დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“ კონფროტაცია ქუჩაში ნაციონალურ მოძრაობასთან, ამას უკვე ცალსახად დასავლეთი მხარს აღარ დაუჭერს და ცალსახად ისინი დაიჭერენ სააკაშვილის მხარეს. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება არის ის, რომ 19 აპრილამდე იქნება ეს თუ ზოგადად 19 მარტამდე, რაც შეიძლება ძალიან მალე განეიტრალებული იყოს ის საფრთხეები, რომლებიც არსებობს ქვეყნის სტაბილურობის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მე არაერთხელ გამომიცხადებია, რომ მე „ქართული ოცნების“ ოპონენტი ვარ, მე არ მომწონს ამ მთავრობის პოლიტიკა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სახელმწიფოებრივი სტაბილურობა ჩვენი პარტიისთვის არის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანი და მიგვაჩნია, რომ ის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობა, ეს უნდა იქნეს ლიკვიდირებული, როგორც ორგანიზაცია, როგორც პოლიტიკური ფაქტორი. ადამიანების ნაწილი, რომლებიც ამ პარტიაში არიან პიროვნულად, უნდა იქნეს იზოლირებული, ის, ვინც დამნაშავეა, ხოლო დანარჩენი, ის, ვინც არ არის დამნაშავე, პოლიტიკურად უნდა იქნენ იზოლირებული, თუნდაც სამართლებრივად დარჩნენ ხელშეუხებლები.

***– აქვს „ქართულ ოცნებას“ დღეს იმის ბერკეტი, რომ გაანეიტრალოს ნაცმოძრაობა?***

– მთავრობას ყოველთვის ყველანაირი ბერკეტი აქვს და ჩვენ გვახსოვს, ეფექტური მთავრობები როცა ჰყავდა საქართველოს, ასეთი გადაწყვეტილებები მიიღებოდა კიდევაც. სრულიად აშკარაა, რომ პოლიტიკა ვერ იტანს გადაუწყვეტელ საკითხებს, ყოყმანს და ასეთი ტიპის პროცესებს. როცა ხარ ხელისუფლებაში, გეძლევა შანსი და ეს შანსი უნდა გამოიყენო ქვეყნის კეთილდღეობისათვის. დაპატიმრებები, გამოძიებები და სპეცოპერაციები უნდა ტარდებოდეს ბევრად უფრო ეფექტურად. ხან ამბობენ რომ არ არის, ამაზე უნდა ჩამოყალიბდნენ. სინამდვილეში კი ნაციონალური მოძრაობა არის კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც უნდა იქნეს ლიკვიდირებული.

# ლადო ვარძელაშვილი დააკავეს

## რა მოხდა ყოფილი მინისტრის ბინაში

შორენა მარსაგიშვილი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი დიდ უსიამოვნებაში გაეხვია. მის ოჯახში გამართული სუფრა ტრაგედიით დასრულდა. უბედურ შემთხვევას 42 წლის დევი სირაძე ემსხვერპლა. გარდაცვლილი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი დააკავეს.

ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად ასევე დაკავებული არიან ზვიად ქავთარაძე და ვახტანგ ბიჭაშვილი.



გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 22 თებერვალს, ღამით, დაკავებულები მეგობრებთან ერთად ნუცუბიძის ქუჩაზე, ვლადიმერ ვარძელაშვილის საცხოვრებელ ბინაში სტუმრად იმყოფებოდნენ. ვლადიმერ ვარძელაშვილმა საკუთარი იარაღის კოლექციის დასათვალიერებლად მეგობრები გვერდით ოთახში გაიყვანა.

მან ზვიად ქავთარაძეს საჩვენებლად „ტეტე"-ს სისტემის პისტოლეტი მიაწოდა, რა დროსაც ამ უკანასკნელს იარაღი გაუფრთხილებლობით გაუვარდა და ტყვია მოპირდაპირედ მდგომ დევი სირაძეს გულმკერდის არეში მოხვდა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. შსს-ს ცნობით, ზვიად ქავთარაძე ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ იარაღი რეგისტრირებული იყო ვლადიმერ ვარძელაშვილის ნათესავის სახელზე, რომელმაც 2010 წელს აღნიშნული პისტოლეტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილ მინისტრს საჩუქრად გადასცა.

გამოძიებას აწარმოებს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს 1-ლი განყოფილება.

სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილმა მინისტრმა საკუთარ სახლში მომხდარ უბედურ შემთხვევაზე ისაუბრა. ლადო ვარძელაშვილის ჩვენება შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

– მე და ჩემი მეგობრები მეუღლეებთან ერთად ჩემს საკუთარ სახლში ვიყავით. მე მფლობელობაში მაქვს რამდენიმე იარაღი. ერთ-ერთი მქონდა ჩემი ნათესავისგან ნაჩუქარი, რომლის გადაფორმებაც ვერ მოვასწარი. იარაღი მქონდა სეიფში, შემდეგ ჩემმა მეგობრებმა დაათვალიერეს კოლექცია და ერთ-ერთ ჩვენს მეგობარს შემთხვევით გაუვარდა იარაღი, რის გამოც ეს უბედური შემთხვევა მოხდა.

# გოგა ხაჩიძე ბიძინა გუჯაბიძეს ჰომოფობიაში ადანაშაულებს

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ საკანონმდებლო ორგანოში დიდი ხალისობა იყო. დეპუტატებმა პლენარულ სხდომაზე რეგლამენტში განსახორციელებელ ცვლილებებზე იმსჯელეს, რომელიც ბიძინა გუჯაბიძემ მოამზადა და რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრთა ჩაცმულობა უნდა იყოს პროტოკოლური ან ეროვნული.**

ბუსუსებიანი პრეზერვატივების შემდეგ ამ პარლამენტს ასეთი კურიოზული საკითხი არ განუხილავს. გუჯაბიძის ინიციატივამ იუმორმოძალებულ გოგა ხაჩიძეს კიდევ უფრო მეტი სახითხითო გაუჩინა. ამ თემაზე ხაჩიძე ფეისბუქზე პოსტს პოსტზე აქვეყნებს. გუშინაც ძალიან აქტიური იყო. ასე ხაჩიძეს თავის დროზე ხე-ტყის დაცვაზე რომ ეზრუნა, რაღა უჭირდა საქართველოს სატყეო ფონდს.

გუჯაბიძის ინიციატივაზე სხვა დეპუტატებიც მაგრად ხალისობენ ხოლმე. რამდენიმე დღის წინ ეს საკითხი საკომიტეტო მოსმენაზეც განიხილეს. იმ მოსმენაზე ხათუნა გოგორიშვილმა იკითხა, შეეძლო თუ არა მას უკრაინული სამოსით სიარული. ზურაბ ტყემალაძე კი დაინტერესდა, მიეცემოდათ თუ არა დეპუტატებს ზეწრის შემოხვევის უფლება.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ბიძინა გუჯაბიძე სხდომათა დარბაზში გუშინ ჩოხით გამოცხადდა.



როგორც უკვე ვთქვით, ხაჩიძე ეროვნული სამოსის თემაზე მაგრად ხალისობს. იმ დღეს დაიჩივლა, ჩოხა-ახალუხით თუ ვიარეთ, პარლამენტთან ცხენების თავლა უნდა ავაშენოთო. დეპუტატი იმასაც ჩიოდა, სად ვიშოვოთ ცხენისთვის თივაო. ახლა იკითხავთ, ცხენი რა შუაშიაო. ხაჩიძის თქმით, ჩოხოსანი დეპუტატი პარლამენტში ცხენით უნდა მივიდეს.

ისე, მაგარი უცნაური კაცია ეს ხაჩიძე. შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი პარლამენტში ველოსიპედით მივიდა და ჩოხა-ახალუხით რატომ ვერ მოახტებოდა ველოს?

მისი ოხუნჯობანი ბიძინა გუჯაბიძესაც აქვს წაკითხული და ერთ-ერთ ინტერვიუში დეპუტატის ანცობას გამოეხმაურა.

– ხაჩიძეს თუ სურს, ეროვნული ტანისამოსი ჩაიცვას და თუ სურს – რომელიმე უმცირესობის ფორმა, – განაცხადა გუჯაბიძემ.

ამ განცხადებას ხაჩიძე ასე იოლად როგორ გადაყლაპავდა. მან პარლამენტის სხდომაზევე გაურჩია საქმე კოლეგას.

– მიპასუხეთ, ეს თქვენი ჰომოფობიური განცხადება რას ნიშნავს! – მიმართა ხაჩიძემ გუჯაბიძეს.

ბიძინა გუჯაბიძე ოპონენტ გოგა ხაჩიძეს მოუწოდებს, ეროვნულ ტანისამოსს პატივი სცეს. დღევანდელ პლენარულ სხდომაზე გუჯაბიძე ხაჩიძის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც მან ოპონენტს ბრალად ჰომოფობიური განცხადების გაკეთება დასდო.

გუჯაბიძის მტკიცებით, რამდენიმე დღის წინ მას ჟურნალისტმა უთხრა, გოგა ხაჩიძემ თქვა, რა მაგარი სექსი იქნება ჩოხაში სხვები და სხვებიო.

– ამ რეპლიკაზე ვთქვი, რომ თუ ხაჩიძე სექსთან დაკავშირებით ინტერპრეტაციებს აკეთებს, მას შეუძლია, ის ჩაიცვას, რაც სურს. პასუხი ჟურნალისტს მოსთხოვეთ, – მიმართა გუჯაბიძემ ხაჩიძეს.

ეროვნულ სამოსზე სიცილი მისაღები ნამდვილად არ არის, თუმცა პარლამენტში ასეთი სამოსით სიარული მთლად მისაღები არ უნდა იყოს. სხვა თუ არაფერი, ქართულ ეროვნულ სამოსს იარაღი ამშვენებს. ჩვენი დეპუტატების ემოციისთვის კი ხანჯალი კარგი არ იქნება.

აბა, წარმოიდგინეთ, იმ დღეს „მაესტროს" ეთერში რა მოხდებოდა, კობა დავითაშვილსა და სერგო რატიანს ეროვნული შესამოსელი რომ სცმოდათ. იქ საქმე ჭიქის დალეწვით არ დასრულდებოდა.

და თუ მაინც გადაწყდა, რომ ეროვნული სამოსით უნდა იარონ, იქნებ ხანჯლაობაში და ფარიკაობაში ავარჯიშოთ ცოტა ხანი. ამასთან, ქალ დეპუტატებს მანდილის ტარების აუცილებლობა უნდა დაეკისროთ. ადრე მანდილის ჩაგდებით აშველებდნენ მოჩხუბრებს.

# გიგი უგულავას დღეს ბრალს წაუყენებენ

შორენა მარსაგიშვილი

**თბილისის მერი გიგი უგულავა ცდილობს, ნამებულის მანტია მოისხას. ის ამტკიცებს, რომ ახალი ხელისუფლება თბილისელებს მის გამო ავიწროებს. ის შევიწროებად მიიჩნევს თბილისში ხიდების მშენებლობის შეჩერებას.**



გიგი უგულავა მუნიციპალური განვითარების სააგენტოსა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოუწოდებს, ნუ შეაჩერებენ პოლიტიკური დაპირისპირების გამო მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობას.

თბილისის მერის განცხადებით, თუ ვინმეს ხიდის დიზაინი არ მოსწონს, შეუძლიათ, შეცვალონ, მაგრამ ნუ მიიღებენ აბსურდულ გადაწყვეტილებას მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით.

– სასურველი იქნებოდა, მუნიციპალური განვითარების სააგენტოსა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაევლოთ კონსულტაციები და არ მიეღოთ გადაწყვეტილება ასე ხელაღებით, ვინაიდან საუბარი არის ხიდის მშენებლობაზე, რომელიც უნდა აშენებულიყო აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით.

ტენდერი იყო გამოსაცხადებელი და რამდენიმე დღეში დაიწყებოდა ახალი სამანქანო ხიდის მშენებლობა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ სამინისტრომ განაცხადა, რომ არ აპირებენ ამ ხიდის მშენებლობას იმ მოტივით, რომ ის საცობებს გამოიწვევს. ალბათ, ბავშვსაც კი გაეღიმება ამ არგუმენტზე. ვეფხისა და მოყმის ხიდის ტერიტორია თბილისში ყველაზე მძიმე კვანძს წარმოადგენს, ამიტომ ჩვენი იდეა იყო, აშენებულიყო ხიდი, რომელიც მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს დააკავშირებდა. მე მინდა შევთავაზო, დაფიქრდნენ, თუ ვინმეს ხიდის დიზაინი არ მოსწონს, შეგვიძლია შევცვალოთ, სამანქანო ხიდი სჭირდება ქალაქს. მე ვთავაზობ, გადავდოთ ყოველგვარი პოლიტიკური დაპირისპირება და განვაგრძოთ ამ საკითხზე კონსულტაციები. არ არსებობს ჯანსაღი არგუმენტი ამ მშენებლობის შესაჩერებლად. მე მგონია, რომ ვიღაცამ გადაწყვიტა, დასაჯოს თბილისელები იმის გამო, რომ მე განსხვავებულ პოლიტიკურ პლატფორმაზე ვდგავარ, – განაცხადა ტანჯულმა უგულავამ.

მის განცხადებას გელოვანისა და წერეთლის გამზირების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის შეწყვეტის თაობაზე ინფრასტრუქტურის სამინისტროში უპასუხეს. საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორთან ერთად ის მიზეზები განმარტა, რის გამოც აღნიშნულ ადგილზე ხიდი აღარ აშენდება.

სამინისტროში ამბობენ, რომ ხიდის მშენებლობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და, ამასთან, არსებობს სამტრედიის ქუჩის მცხოვრებთა საჩივარიც, რომლებიც პროექტის წინააღმდეგ გამოდიან.

– ეს პროექტი საკმაოდ ძვირადღირებული იყო, მაგრამ მიზეზი, რომლის გამოც უარი ითქვა ამ პროექტზე, ეს არის სამტრედიის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის განცხადება, რომელსაც ხელს 500 ადამიანი აწერს. ეს ხალხი ამბობს, რომ იქ ხიდის მშენებლობით მათ პრობლემები შეექმნებათ. ასეთი პროექტების გაკეთება მოსახლეობასთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება. გელოვანისა და წერეთლის გამზირების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის შემთხვევაში განიტვირთება მოძრაობა ერთ სანაპიროზე, მაგრამ წარმოიქმნება საცობები სამტრედიის ქუჩაზე, – განაცხადა მინისტრის მოადგილე შოთა მურღულიამ.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორი ელგუჯა ხოკერიშვილი კი აცხადებს, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება სამტრედიის ქუჩაზე ეკოლოგიურ პრობლემებსაც შექმნის.

– ადგილობრივი მოსახლეობის საჩივარი ეფუძნება იმას, რომ სამტრედიის ქუჩა სულ გადატვირთულია და ამ ხიდის მშენებლობის შედეგად ამ ადგილს სატრანსპორტო საშუალებები დაემატება. ამიტომ აქ დგას ეკოლოგიური პრობლემაც, – განაცხადა მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორმა ელგუჯა ხოკერიშვილმა.

დღის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ თბილისის მერს გიგი უგულავას დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხის გაფლანგვაში ბრალს დღეს წაუყენებენ. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნათია სუხიაშვილმა განაცხადა.

– 2013 წლის 22 თებერვალს დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტებზე გამოტანილია დადგენილება თბილისის მერის გიგი უგულავას ბრალდების შესახებ. რის საფუძველზეც იგი 23 თებერვალს, 14:00 საათზე დაბარებულია საგამოძიებო ორგანოში ბრალდების წაყენებისა და მის მიმართ სხვა საგამოძიებო ქმედებების ჩატარების მიზნით. ბრალდება მოიცავს ორ დამოუკიდებელ ეპიზოდს, – განაცხადა სუხიაშვილმა.

# ბიძინა ივანიშვილი: „უსუფაშვილმა სააკაშვილს საკადრისი პასუხი გასცა"

შორენა მარსაგიშვილი

2 დღის წინ პრეზიდენტმა პარლამენტს უსტარი მისწერა სიტყვის თქმის უფლება მომეცითო. პარლამენტიდან დაიბარეს, აუცილებლად მოგცემთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით როდის.

პრეზიდენტია უსტარს გუშინ პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, პარლამენტისადმი პრეზიდენტის ღია წერილის თაობაზე ინფორმირებული საპარლამენტო უმცირესობაც კი არ იყო.

პრემიერი პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს ესაუბრა, რომლისგანაც შეიტყო, რომ პრეზიდენტის ღია წერილის თაობაზე საპარლამენტო უმცირესობამ მედიისგან გაიგო და ოპოზიციონერი დეპუტატები საქმის კურსში არ იყვნენ. პრემიერის შეფასებით, უსუფაშვილმა სააკაშვილს კარგი პასუხი გასცა.

– რაც მთავარია, ჩვენ მათგან განსხვავებით მხოლოდ სიმართლეს და ჭეშმარიტებას ვახმოვანებთ. მაშინ უსუფაშვილმა კარგი გამოსავალი ნახა. ამჯერადაც უმრავლესობა იმ შეხვედრას არ დაესწრებოდა, ვიდრე დღევანდელი ოპოზიციის მხრიდან საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიცია არ დაფიქსირდებოდა. ცარიელი დარბაზი პარლამენტისთვისაც და მით უმეტეს, პრეზიდენტისთვის უხერხულობას გამოიწვევდა. მას პარლამენტში 50 კაცზე ნაკლები დახვდებოდა. უსუფაშვილმა კარგი გამოსავალი ნახა, როდესაც ასეთი შეთავაზება გააკეთა. სააკაშვილი პრინციპულად არ პასუხობს კითხვას – სურს, თუ არა მას ისევ დიქტატორული კანონით ისარგებლოს. მე ბოდიშის მოხდას არ ვითხოვ, მაგრამ სახე შეინარჩუნოს და თქვას, რომ ასეთი დიქტატორული კანონით სარგებლობას არ აპირებს. შეკითხვა დაუსვეს და ამაზე პასუხს არ სცემს, – განაცხადა პრემიერმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტს პარლამენტში სიტყვით გამოსვლას მარტში პირდება და სთავაზობს თვითონ გადაწყვიტოს, ცარიელ დარბაზში ურჩევნია გამოსვლა, თუ სავსე დარბაზში.

– გიდასტურებთ ჩემს სიტყვებს, რომელიც თქვენთან შეხვედრაზე გავაკეთე, რომ ამ შენობიდან გააკეთოთ თქვენი მიმართვა, პარლამენტის ტრიბუნიდან და ეს უფლება თქვენთვის არავის წაურთმევია. 8 თებერვალს თქვენი გამოსვლა გადავდეთ, რათა თავიდან აგვეცილებინა თქვენი ცარიელ დარბაზში გამოსვლა და ეს არ გვინდოდა. ამიტომ, შანსი გაგვიჩნდა საკითხები მოგვეგვარებინა და თქვენ მიგემართათ პარლამენტისთვის და არა ცარიელი კედლებისთვის. პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართვის საშუალება სავარაუდოდ მარტის ბოლოსკენ გექნებათ, თუმცა თქვენი გამოსვლა იქნება ცარიელ კედლებში თუ პარლამენტში, ეს დამოკიდებულია თქვენს გადაწყვეტილებაზე - მზად ხართ თუ არა პარლამენტს დაუბრუნოთ საკუთარი უფლებამოსილება. რაც



უფრო მალე გაცხადდება თქვენი მზაობა, მით უფრო მალე გამოხვალთ პარლამენტში. ეს იმას კი არ განსაზღვრავს პარლამენტში გამოხვალ თუ არა, არამედ იმას, ცარიელ დარბაზში გამოხვალთ თუ პარლამენტის წინაშე, – მიმართა პრეზიდენტს უსუფაშვილმა.

# თამარ ჩხეიძე: „გოგი ქავთარაძეს და ნუკრი ქანთარიას დემოკრატიაზე წარმოდგენა არა აქვთ“

შორენა კოწოწაშვილი

**რამდენად აუცილებელი იყო დღეს ხელისუფლების მხრიდან საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტზე მუშაობა და არის თუ არა მართლაც სიძულვილის პოლიტიკა, პირიუსული კურსი და პოლიტიკური ანგარიშსწორება „ქართული ოცნებისთვის" დამახასიათებელი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ხელმძღვანელ თამარ ჩხეიძესთან.**

***– ქალბატონო თამარ, თქვენი აზრით, სწორი პოზიცია აირჩია „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვისას საპარლამენტო უმცირესობასთან მიმართებაში?***

– სწორი არის ერთი რამ: აუცილებელია თანამშრომლობა და არა დაპირისპირება, სიძულვილისა და აგრესიის ქადაგება, რასაც დღემდე აქვს ადგილი. ცივილიზებული პოლიტიკური პროცესი უნდა წარიმართოს, უნდა მოხდეს შეთანხმება. რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, ოპოზიცია ითხოვს ევროატლანტიკური ორიენტაციის დაფიქსირებას კონსტიტუციაში პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის სამაგიეროდ. ვფიქრობ, ეს აჟიოტაჟი იმ დროს, როცა ოქტომბრამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი და ეს შიში ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების დაკარგვის, თავისთავად ჯანსაღი პროცესი არ არის. ამ შეზღუდვის საკითხი არც უნდა დამდგარიყო. მე ზოგადად არა ვარ მომხრე ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის. ამის მომხრე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ რამდენადაც საქმე ეხება რამდენიმე თვეს – ოქტომბრამდე პერიოდს, თავისთავად ამ საკითხის წამოჭრა და თანაც ისეთი ისტერიული წამოჭრა, როგორც ეს გააკეთა საპარლამენტო უმრავლესობამ და პრემიერ-მინისტრმა, ვფიქრობ, ეს არაჯანსაღი მოვლენაა. ახლა რომ ლაპარაკობენ, წართმეული უფლებები უნდა დაიბრუნოს პარლამენტმა და ა.შ. ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები, რის შედეგადაც კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, აი, ამ კონსტიტუციის ფარგლებში ჩატარდა, მერე კი არ მომხდარა რაიმეს წართმევა. ამიტომ თავისთავად ამაში უჩვეულო არაფერია და ოქტომბრამდე შეიძლებოდა ამასთან შეგუება. ვფიქრობ, მმართველი პარტიის მხრიდან ზედმეტი აჟიოტაჟია. და რაც მთავარია: ძალიან აღმაშფოთებელია ის ატმოსფერო, რომელშიც ამ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა მიმდინარეობდა.

***– მოლაპარაკებების პროცესს გულისხმობთ?***

– მე მოლაპარაკებებს კი არ ვგულისხმობ, რომელიც ბოლო დღეებში განვითარდა, არამედ მანამდე, რაც ამ მოლაპარაკებებს წინ უძღოდა: დაშინება, შანტაჟი, შეურაცხყოფა, ულტიმატუმები უმცირესობის მისამართით. ეს ანტიდემოკრატიული პროცესი იყო. ამას თან ერთვოდა პრეზიდენტის არმიშვება პარლამენტში, რაც აბსოლუტურად გაუგებარი და სრულიად მიუღებელი პროცესი იყო. გრძელდება აგრეთვე სიძულვილის ისეთი ატმოსფეროს შექმნა, როგორიც იყო ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. ორი დღის წინ მოვისმინე უმრავლესობის წევრების გოგი ქავთარაძის და ნუკრი ქანთარიას განცხადებები, რომლებსაც არავითარი საერთო არ აქვს დემოკრატიის შესახებ ცოდნასთან, სამართლის ცოდნასთან. ისინი აცხადებენ, რომ სრულიად ზედმეტია ამჟამად არსებული ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობა“ და ის უნდა აიკრძალოს. გაუგებარია, პოლიტიკისგან ასეთი შორს მყოფი ადამიანების პარლამენტში ყოფნა. ეს კონფრონტაციული განწყობა, რომელიც დღეს ხელისუფლებას აქვს, მიუღებელია და ქვეყნისთვის დამღუპველი.

***– აუცილებელია კონსტიტუციაში საქართველოს ევროატლანტიკური კურსის შესახებ ჩანაწერი გაჩნდეს, რასაც საპარლამენტო უმცირესობა ითხოვს თუ ეს პოლიტიკური სპეკულაციის საბაბია?***

– რაც შეეხება უმცირესობის მოთხოვნას ევროატლანტიკური ორიენტაციის ასახვის შესახებ კონსტიტუციაში და ნატოსკენ სწრაფვას, თავისთავად გასაგებია ეს შიში, რომელიც გაჩნდა საპარლამენტო უმცირესობაში. გაკეთდა შესაბამისი განცხადებები უმრავლესობის მხრიდან, რაც სერიოზული ეჭვის ქვეშ აქცევს საქართველოს ორიენტაციას. ნაციონალების ეს მოთხოვნა გასაგებია, თუმცა არა მგონია, თუნდაც ზოგადი ფრაზებით აისახოს კონსტიტუციაში ეს მოთხოვნა ევროატლანტიკური ორიენტაციის შესახებ. ამას შეუძლია სერიოზულად შეუშალოს ხელი პრორუსულ კურსს, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ამჟღავნებს.



***– მართლაც სიძულვილის პოლიტიკა იკვეთება არჩევნების შემდგომ?***

– აი, ესაა ცუდი: სიძულვილის და აგრესიის ატმოსფერო, რომელიც შექმნილია ქვეყანაში და რომელიც სამოქალაქო დაპირისპირებას წარმოადგენს. გასაგებია, რომ წინა ხელისუფლების დროს იყო ძალიან ცუდი პროცესები, მაგრამ შეუძლებელია მუდმივად ამაზე ლაპარაკი და გაუთავებლად აგრესიის, სიძულვილის ქადაგება. ეს ქვეყნისთვის ძალიან ცუდია.

***– პოლიტიკური ამნისტია, რასაც ნაციონალები „ქართული ოცნებისგან“ ითხოვენ, უნდა განხორციელდეს?***

– კომუნისტური პერიოდიდან დაწყებული, საქართველოში ყოველთვის მანკიერი პოლიტიკური სისტემაა: ნებისმიერ ადამიანს, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებაში ან კომერციულ სისტემაში მუშაობდა, შეიძლება მოუძებნო რეალური დარღვევა. აქედან გამომდინარე, როდესაც ლაპარაკია შერჩევით სამართალზე, სწორედ ეს იგულისხმება. როდესაც უნდათ, პოლიტიკური ოპონენტი გააჩერონ ან გაუსწორდნენ, ან ხელისუფლებიდან გააგდონ, სწორედ ამ ფაქტებს იყენებენ. ეძებენ სრულიად სასაცილო ბრალდებებს, რომელიც ნებისმიერ საჯარო მოხელეს შეიძლება წაეყენოს. ასეთი ბრალდებებით იწყებენ ადამიანების დევნას. სწორედ ამიტომ, რომ ასეთნაირად, ამ სისტემის გამოყენებით ხდება ხელისუფლების მოქმედება, რაც, რა თქმა უნდა, არის შერჩევითი სამართალი, ეს არის პოლიტიკური რეპრესიები. თუ ასე გამოვეკიდებით ადამიანებს, ეს იქნება პოლიტიკური დევნა. მაგალითად, მოვიყვან იმ ბრალდებებს, რომელიც წინა ხელისუფლების წევრების მისამართით მოვისმინეთ. ვთქვათ, ერთი წლის წინ ადამიანმა იჩხუბა სადღაც სუფრაზე და ვიღაცას მუჯლუგუნი კრა; იყო ერთი ბრალდება, რომელიც ბენზინის ტალონებს ეხებოდა; კიდევ იყო ენერგეტიკასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ ბრალდებულს ბრალად ედებოდა ერთი საათით ელექტროენერგიის გათიშვა. ასეთ სასაცილო ბრალდებებს აქვს ადგილი და აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, იქმნება სურათი, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან. თორემ, რომ წამოჭრილიყო ისეთი საქმეების გამოძიება, რომელიც ეხება ადამიანების სიცოცხლის ხელყოფას, ქონების ხელყოფას, პატიმრების წამებას, თუნდაც იმ საშინელ უსამართლობას, რომელიც დევნილების მიმართ ხორციელდებოდა (ალბათ გახსოვთ, წინა ხელისუფლების პირობებში დევნილების მიმართ რა საშინელებებს აკეთებდნენ), აი, ასეთი საქმეების გამოძიება რომ ხდებოდეს და ამოსავალი იყოს თავად დანაშაული და არა კონკრეტული პიროვნების დევნა, მაშინ, რა თქმა უნდა, არც მსოფლიო დემოკრატიული სამყარო იტყოდა ამაზე რაიმე საწინააღმდეგოს და არც ვთქვათ, ქართული საზოგადოების და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები. შესაბამისად, ეს არ იქნებოდა პოლიტიკური დევნა. თუმცა ის, რაც დღეს ხორციელდება, ეს არის პოლიტიკური დევნა, რომელიც რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის წინააღმდეგ შეიძლება განხორციელდეს. ეს არის აბსოლუტურად წარმოუდგენელი.

***– ანუ წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ ბრალის წაყენება უნდა შეწყდეს?***

– ეს პროცესი, პოლიტიკური დევნა უნდა შეწყდეს და თანაც უპირობოდ. კობა დავითაშვილის განცხადება იყო, უნდა მოინანიონ და ასეთ შემთხვევაში განხორციელდება ამნისტიაო. ეს არის აბსოლუტურად აღმაშფოთებელი განცხადება. ამნისტია უნდა იყოს უპირობო და არავითარ მონანიებასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. იმიტომ, რომ მონანიებაზე თუ არის ლაპარაკი, პოლიტიკური დევნის შეწყვეტაზე ვერ იქნება ლაპარაკი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ, სადაც ჩადენილია ძალიან მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული – პატიმრების წამება, ადამიანების ლიკვიდაცია ქუჩებში, მკვლელობები, ასეთ საკითხებზე ობიექტური განაჩენები უნდა დადგეს. მაგრამ დანარჩენ საკითხებზე ყურითმოთრეული, არასერიოზული ბრალდებებით პოლიტიკური ოპონენტების დევნა აუცილებლად უნდა შეწყდეს.

***– პოლიტიკური ვაჭრობა, რომელიც ხელისუფლებასა და სააკაშვილის უმცირესობას შორის მიმდინარეობს, ქვეყნისთვის უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება?***

– თუ შეთანხმება არ მოხდა, რასაკვირველია, ცუდი იქნება. ეს ქვეყანაში ვითარების ესკალაციას გამოიწვევს. ყოველგვარი ესკალაცია და დაძაბულობა დღეს საქართველოში და სამოქალაქო დაპირისპირება, მხოლოდ ჩვენი საგარეო მტრის – რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. მსგავსი პროცესი, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის არის უარყოფითი. ამდენად, მე აუცილებლად მიმაჩნია ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება. მათ შორის, უნდა მიდიოდეს დიალოგი მთელ რიგ საკითხებზე. თუ ისინი შეთანხმდებიან და არ გაგრძელდება შემდგომი დაპირისპირება, რასაკვირველია, ეს ქვეყნისთვის უკეთესი იქნება.

***– მართლაც მთავრობის დათხოვნის შიში აქვს ახალ ხელისუფლებას თუ აუცილებლობაა კონკრეტულად დროის ამ მონაკვეთში განხორციელდეს საკონსტიტუციო ცვლილებები?***

– არა, რა თქმა უნდა. თუკი ისინი აკრიტიკებდნენ წინა ხელისუფლებას, რომ კონსტიტუციას წამდაუწუმ ცვლიდნენ და თავისთავზე ირგებდნენ, იგივეს აკეთებენ ახლა ესენი, როდესაც თავიანთი სკამების დაკარგვის შიშით სრულიად ხელოვნურად მოითხოვენ ახლა ამ ცვლილებების დაკანონებას. რასაკვირველია, შიშით არის გამოწვეული, რომ პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და მთავრობას. ამ შიშის საუკეთესო წამალი იქნებოდა არა შიშისა და მუქარის ატმოსფერო, რომელსაც ისინი ქმნიან, არამედ ამ მტრული განწყობის შეწყვეტა, რომელსაც ისინი ამჟღავნებენ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ და რეალური საქმის კეთება. რაც უფრო რეალურ საქმეს გააკეთებენ, მით უფრო ნაკლებად საშიში იქნება, რომ პრეზიდენტმა შეძლოს პარლამენტის ან მთავრობის დათხოვნა. სწორედ კონსტრუქციული, დადებითი მოქმედებებით შეიძლება ამის მიღწევა და არა შიშის და მუქარის ატმოსფეროთი. თუმცა, თუ მათ შორის მოხდება შეთანხმება რაღაც საკითხზე, ეს მაინც მისასალმებელი იქნება იმიტომ, რომ შეუძლებელია ქვეყანა მუდმივად ასეთ დაპირისპირებისა და დაძაბულობის პირობებში ცხოვრობდეს.

***– ფიქრობთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობა სუსტია?***

– ვერ ვიტყოდი, რომ სუსტია. ფაქტია, რომ დღეს სხვა ოპოზიციაც ფაქტობრივად არ არსებობს ანუ ის ძალა, რომელიც გაუწევს წინააღმდეგობას უარყოფით პროცესებს და, რაც მთავარია, იმ კურსს, რომელიც ყველაზე მეტად მაშინებს.

## „19 აპრილის აქცია შესაძლოა საზოგადოების გამხიარულებას ემსახურებოდეს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილისთვის დაგეგმილი აქცია შესაძლოა, მხოლოდ საზოგადოების გამხიარულებას და მოსახლეობისთვის ღიმილის მოგვრას ემსახურებოდეს. მან ამის შესახებ ჟურნალისტების კითხვის პასუხად დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. პრემიერი საზოგადოებას მოუწოდებს, ამ აქციას იუმორით მიუდგეს. მისი თქმით, ქართველ ხალხს იუმორის კარგი გრძნობა აქვს. შესაბამისად, მან რაც შეიძლება მეტი იუმორი უნდა გამოიყენოს 19 აპრილის აქციის მიმართ, რადგან ეს საკითხი სერიოზულ ანალიზს არ ექვემდებარება.

„სად გინახავთ, 50 დღით ადრე ცხადდებოდეს ასეთი აქციები? მივმართავ საზოგადოებას, ამგვარ განცხადებებს ყურადღება აღარ მიაქციოს. ჩვენ მათთან თანაცხოვრება უნდა ვისწავლოთ, ვიდრე სიცრუის ნაცვლად კონსტრუქციულ პოზიციაზე გადავლენ. ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ ეჭვი არავის გამოუთქვამს. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ ამტვრევენ ღია კარს“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

**მედიანიუსი**

## კონგრესმენებმა თავდაცვის სამინისტროში შეხვედრა გამართეს

გუშინ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან დოლიძემ აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლები მიიღო. თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღმავების საკითხები განიხილეს. ლევან დოლიძემ ამერიკელ კონგრესმენებს პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. აშშ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატო-სთან თავსებადი, თანამედროვე არმიის შექმნაში უწევს დახმარებას.

როგორც „მედიანიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე საქართველოს ავღანეთის საერთაშორისო მისიაში მონაწილეობასა და პოსტ-აისაფის პერიოდში საქართველოს როლზეც ისაუბრეს. თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამერიკელ სტუმრებს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები, საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების მრავალწლიანი გეგმა და ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივები გააცნო.

„ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, ვინაიდან ჩვენ ამერიკელ კონგრესმენებს მივაწოდეთ ინფორმაცია თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ. ასევე, გავაცანით ჩვენი ხედვა თავდაცვის სისტემის სამომავლო ტრანსფორმაციისა და ამ მხრივ არსებული გეგმების თაობაზე. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებს და ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულ როლს ამ მხრივ, ისევე როგორც ზოგადად საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ბუნებრივია, ჩვენ ვისაუბრეთ ქართველი სამხედროების მონაწილეობაზე ავღანეთში და იმ ერთობლივ ძალისხმევაზე, რომელსაც ჩვენ გავიღებთ საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფისათვის“ განაცხადა ლევან დოლიძემ შეხვედრის შემდეგ.

ამერიკელი კონგრესმენის დანა რორბახერის განცხადებით, „დღეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. გავეცანით საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ვიზიტის ფარგლებში ვმართავთ შეხვედრებს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რათა მივიღოთ ინფორმაცია მათი გეგმების შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. ჩვენ, როგორც ამერიკის წარმომადგენლებმა, გამოვხატეთ მადლიერება იმ მამაცი ქართველი სამხედროების მიმართ, რომლებიც ავღანეთში ამერიკელი სამხედროების მხარდამხარ იბრძვიან. ამერიკელი ხალხი საქართველოს წვლილს ძალიან აფასებს. ჩვენი ვიზიტი არის დადასტურება, რომ ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ საქართველოსთან სამხედრო სფეროში და დავრწმუნდეთ, რომ საქართველოს შესწევს უნარი, დაიცვას საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება.“

ამერიკელ კონგრესმენებთან შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე თავდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ქაროსანიძე და გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია.

**მედიანიუსი**

## უახლოესი 2 დღის განმავლობაში საქართველოში უმეტესად ნალექიანი ამინდია მოსალოდნელი

დღეს და ხვალ საქართველოში უმეტესად ნალექიანი ამინდი არის მოსალოდნელი. როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, 23 თებერვალს დასავლეთ საქართველოში ზოგან იწვიმებს, მაღალ მთაში მოთოვს. იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 10-15, ზოგან კი 17-22 მეტრ/წამი სიჩქარით. ჰაერის ტემპერატურა დაბლობში +10, +15; მთაში +7,+12; ხოლო მაღალ მთაში +1,+6 გრადუსი სითბო არის მოსალოდნელი.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე ნალექი და ნისლი. იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში. ჰაერის სავარაუდო ტემპერატურა იქნება ბარში +5,+10; მთაში +4,+9; მაღალ მთაში კი 0,+5 გრადუსი სითბო. თბილისში შესაძლებელია მცირე წვიმა და ნისლი. ჰაერის ტემპერატურა +10 გრადუსს მიაღწევს.

24 თებერვალს დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, მთაში – თოვლი. შესუსტდება აღმოსავლეთის ქარი. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურა იქნება დაბლობში +7,+12; მთაში +3,+8; მაღალ მთაში 0,+5 გრადუსი სითბო. აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად წვიმა და ნისლი, მთაში კი თოვლია მოსალოდნელი. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა ბარში +4,+9; მთაში +2,+7; მაღალ მთაში -1 გრადუსი ყინვა, +4 გრადუსი სითბო. რაც შეეხება თბილისს, აქ წვიმა და ნისლია მოსალოდნელი, იქროლებს სუსტი ქარი. ჰაერი კი +6 გრადუსამდე გათბება.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა დელეგაციას და აშშ-ს ელჩს საქართველოში – რიჩარდ ნორლანდს შეხვდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაგეგმილი შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და შემდგომი განვითარების საკითხები განიხილეს. მინისტრმა სტუმრებს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები, დაგეგმილი რეფორმები, პროექტები და სამომავლო გეგმები გააცნო.

მინისტრმა სტუმარს ასევე სამართალდამცავ სფეროში მიმდინარე რეფორმები, სამინისტროს 2013 წლის სტრატეგია და პოლიციის ეთიკის ახალი კოდექსი გააცნო.

**ნიუსპრესი**

# ვინ არის ყველაზე მოთხოვნადი მსახიობი?

ეკა ირემაშვილი

ვინ არის ყველაზე მოთხოვნადი მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი ქართულ თეატრში? ამ საკითხის კვლევა თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა გადაწყვიტა და სტატისტიკური კვლევის შედეგებიც გამოაქვეყნა, რომელზეც „2012 თეატრალური წლის" მონაცემებია შეჯამებული.

როგორც თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, კვლევა ეყრდნობა საქართველოში მოქმედ 30-ზე მეტი, მათ შორის სახელმწიფო, დამოუკიდებელი, რეგიონალური თეატრების 2012 წლის მონაცემებს. ცენტრმა დაასახელა ის თეატრები, რომლებმაც რაოდენობრივად ყველაზე მეტი სპექტაკლი დადგეს, ასევე დასახელდნენ ის რეჟისორები, რომლებმაც ყველაზე მეტი დადგმა განახორციელეს და ის მსახიობები – ქალი და მამაკაცი, რომლებმაც 2012 წელს ყველაზე მეტი ახალი როლი შექმნეს. კვლევის ცენტრმა გამოავლინა თანამედროვე ქართველი დრამატურგიც, რომლის ყველაზე მეტი პიესა, სწორედ გასულ წელს დაიდგა. როგორც თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი აღნიშნავს, კვლევა მომზადებულია მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით და ის არ ასახავს სპექტაკლებისა და მსახიობთა მიერ შესრულებული როლების მხატვრულ ხარისხს. მისივე თქმით, მსგავსი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა ბოლო 30 წლის განმავლობაში.

ფართო საზოგადოებას კვლევა წარუდგინეს კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციის ხელმძღვანელმა ირინა ღოღობერიძემ, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის თავმჯდომარემ ნიკა წულუკიძემ და თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მკვლევარმა თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წელს საქართველოში სხვადასხვა ტიპის, მიმართულების და სტატუსის თეატრში დაიდგა 144 სპექტაკლი, ამათგან თანამედროვე ქართველი ავტორის (დრამატურგის) – 58, უცხოელი ავტორის – 48 და კლასიკური (ქართული და უცხოური) – 38. რაც პროცენტებში ასე გამოიხატება: თანამედროვე ქართული – 39,44%; უცხოური – 33, 80%; კლასიკა (ქართული, უცხოური) – 26, 76%. 2012 წელს 33 თეატრში დაიდგა 144 სპექტაკლი. ამათგან თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა 17 სპექტაკლი, მარჯანიშვილის თეატრში – 13, რუსთაველის თეატრში – 8, დამოუკიდებელ თეატრებში: თავისუფალ თეატრში – 7, სამეფო უბნის თეატრში – 3. რაც შეეხება რეგიონულ თეატრებს, მესხეთის თეატრში განხორციელდა 8 სპექტაკლი, გორის თეატრში – 7, ქუთაისის თეატრში – 6.

თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში აისახა საერთაშორისო გასტროლი და მონაწილეობა ფესტივალებში. საქართველოს მასშტაბით 32 თეატრიდან საერთაშორისო გასტროლი ჰქონდა 11 თეატრს. მათ შორის, 17 რეგიონული თეატრიდან მხოლოდ აჭარის თეატრებმა – ბათუმის დრამატული – 1, ბათუმის თოჯინების – 3, ხულოს – 1 თეატრებმა განახორციელეს, შესაბამისად საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტჯერ საერთაშორისო ფესტივალში, ბიენალეში თუ ფორუმში მონაწილეობა მიიღო მარჯანიშვილის თეატრმა – 5-ჯერ, თავისუფალმა თეატრმა – 4-ჯერ, მუსიკისა და დრამის, ბათუმის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრებმა – 3-ჯერ. დედაქალაქის 10 სახელმწიფო თეატრიდან საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ექვსმა თეატრმა, მათგან ყველაზე მეტი გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჰქონდათ მარჯანიშვილის თეატრს – 5-ჯერ, მუსიკისა და დრამის თეატრს – 3-ჯერ, თუმანიშვილის თეატრს – 2-ჯერ. ოთხი დამოუკიდებელი თეატრიდან საერთაშორისო გასტროლი განახორციელა სამმა თეატრმა თავისუფალმა – 4-ჯერ, სამეფო უბნის თეატრმა – ერთხელ, თეატრმა ათონელზე – ერთხელ.

რეგიონალური თეატრებიდან 2012 წელს მხოლოდ აჭარის თეატრებმა შეძლეს თავიანთი სპექტაკლების ჩვენება საერთაშორისო ფესტივალებზე: ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრმა – 3, ბათუმის დრამატულმა თეატრმა – 1, ხულოს თეატრმა – 1. შემოქმედებითად ყველაზე აქტიური რეჟისორების ტიტულს ინაწილებენ: პირველ ეტაპზე გოჩა კაპანაძე და გიორგი შალუტაშვილი 6-6 დადგმით, მეორე ეტაპზე დიმიტრი ხვთისიაშვილი და ვანო ხუციშვილი 4-4 დადგმით. რეგიონის თეატრებში, სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში ყველაზე მეტი დადგმა ეკუთვნის სოსო ნემსაძეს (გორის თეატრი) 4 დადგმით, ხოლო დედაქალაქის თეატრებიდან – ლევან წულაძეს (მარჯანიშვილის თეატრი) 3 დადგმით.

დამოუკიდებელ რეჟისორთაგან, რომლებმაც 2012 წელს მხოლოდ ერთ თეატრში განახორციელა ყველაზე მეტი დადგმა, ლიდერის პოზიცია უჭირავთ დედაქალაქიდან: ვანო ხუციშვილს (თავისუფალი თეატრი, 3 დადგმა), რეგიონებიდან ასევე 3-3 დადგმით ვახტანგ ქორიძეს (ახალციხის თოჯინების თეატრი) და მზია ქირიას (სენაკის თეატრი).

რაც შეეხება მსახიობ ქალებს, ერთ თეატრში მოღვაწე მსახიობ ქალთაგან ყველაზე მეტ სპექტაკლში იყო დაკავებული ნინო კიკაჩეიშვილი (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი) – 8-ჯერ, მანანა ბერიძე (მესხეთის თეატრი) – 7-ჯერ, ცირა ტაბატაძე (მესხეთის თეატრი) – 5-ჯერ, ქეთევან შუბითიძე (მესხეთის თეატრი) – 5-ჯერ, რუსუდან შიოლაშვილი (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი) – 5-ჯერ.

მამაკაცთაგან ერთ თეატრში ყველაზე მეტ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ზაზა გოგუაძემ – 7-ჯერ, რომელსაც 6-6 როლით მოსდევს ლაშა ბუტულაშვილი (მესხეთის თეატრი), რაჟდენ კერვალიშვილი და დენ ხლიბოვი (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი). მსახიობი, რომელიც მიწვეულია ყველაზე მეტ თეატრში, არის აკაკი ხიდაშელი (მარჯანიშვილის თეატრი, კინომსახიობთა თეატრი, ახმეტელის თეატრი, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი). სხვადასხვა თეატრში ყველაზე ხშირად მიწვეული თავისუფალი მსახიობები არიან ანა წერეთელი (სამეფო უბნის თეატრი) – 5-ჯერ, 4-4 ჯერ ასევე სამეფო უბნის თეატრის მსახიობები ნატუკა კახიძე, იაკო ჭილაია და მაგდა ლებანიძე. მამაკაც მსახიობთაგან ყველაზე მეტჯერ მიწვეული მსახიობი არის პაატა ინაური (სამეფო უბნის თეატრი) – 5-ჯერ და შაკო მირიანაშვილი (თავისუფალი თეატრი) – 4-ჯერ.

თეატრების მიხედვით მსახიობთა რეიტინგი ასე გამოიყურება: რუსთაველის თეატრი – ქეთი სვანიძე (3), ლევან ხურცია(3), ირაკლი სანაია (3). მარჯანიშვილის თეატრი – ქეთი ცხაკაია (3), მანანა კოზაკოვა (3), ზაზა გოგუაძე (7), როლანდ ოქროპირიძე (4), ზურაბ ბერიკაშვილი (4), ონისე ონიანი (3), დავით ხურცილავა (3). მუსიკისა და დრამის თეატრი – გიგი ქარსელაძე (3), გიორგი ტორიაშვილი (3). გრიბოედოვის თეატრი – მიხეილ ანჯაფარიძე (3). ახმეტელის თეატრი – ანდრო სარიშვილი (3). სამეფო უბნის თეატრი – პაატა ინაური (3). ბათუმის თეატრი – ქეთევან ეგუტიძე (3), დავით ჯაყელი (3), ლევან თედორაძე (3). ქუთაისის თეატრი – ნუცას სულაბერიძე (3), ნანა ცხვარიაშვილი (3), დავით როინიშვილი (3), გიორგი ჩაჩანიძე (3). სენაკის თეატრი – ცირა ადამია (4), ლალი გაბელაია (4), ზურაბ ზურაბაშვილი (3), ზვიად ზურაბაშვილი (3). ჭიათურის თეატრი – თამარ ჯაჯანაშვილი (3), გოჩა აბაშიძე (3). ზესტაფონის თეატრი – ნინო აბესაძე (3), მზია არევაძე (3), მარეზი აბესაძე (3), თემურ კიკნაველიძე (4), ბადრი ტაბატაძე (4). გორის თეატრი – ნათია მელაძე (4), თათია ტატულაშვილი (3). რუსთავის თეატრი – ნათია არბოლიშვილი (3), ზურა ფიროსმანაშვილი (3). თელავის თეატრი – ნონა ხუბარაშვილი (4), ვენერა ფეიქრიშვილი (3), მალხაზ ჩიდრაშვილი (4), ვანო იანტბელიძე, ლექსო რაზმაძე და ზურაბ ლომიძე (3). მსახიობებთა მიწვევის ინსტიტუტთან დაკავშირებით, მსახიობების მიწვევის ინსტიტუტი არსებობს 20 თეატრში, მსახიობებს არ იწვევს 12 თეატრი. 4 თეატრის (ილიაუნის თეატრი, თავისუფალი თეატრი, სამეფო უბნის თეატრი, ახალი თეატრი) დასი 100%-ით ეფუძნება მსახიობთა მოწვევის სისტემას.

2012 წლის ყველაზე პოპულარული დრამატურგია ლაშა ბუღაძე – 4 პიესა (რუსთაველი, მარჯანიშვილი, მუსიკისა და დრამის, ახმეტელის), მეორე ადგილს 2-2 დადგმით ინაწილებენ ლაშა თაბუკაშვილი (მესხეთის, თავისუფალი), გურამ ბათიაშვილი (მესხეთის, მარჯანიშვილის), ნინო სადღობელაშვილი (თავისუფალი თეატრი) და ვანო ჩხიკვაძე (გორის თეატრი).

**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:**

– სტატისტიკური კვლევა, რომლის შედეგებიც გამოხატულია მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებელში და ის არ გამოხატავს თვისობრიობას და მხატვრულ ხარისხს, 2012 წლის მაგალითზე ავლენს შემდეგ ტენდენციებს: ქართულ თეატრში ყველაზე ხშირად იდგმება თანამედროვე ქართველი ავტორების პიესები, რაც განპირობებულია თემების აქტუალობით, განსაკუთრებით სოციალური თემატიკით და მწვავე პოლიტიკური მოტივით და ჟანრობრიობით. ქართველ რეჟისორთა უმრავლესობა 2012 წელს ყველაზე ხშირად კომედიებს დგამდა მაყურებლის მოზიდვის მიზნით. კვლევამ აჩვენა ისიც, რომ თეატრის ბიუჯეტი ნაკლებად განსაზღვრავს თეატრის მუშაობის ეფექტურობას. ზოგ შემთხვევაში კი თეატრი ორიენტირებულია არა ხარისხზე, არამედ მეტი ახალი თეატრალური პროდუქტის შექმნაზე და მის გაყიდვაზე. 2012 წლის მიხედვით თეატრების უმრავლესობამ, 70-მა პროცენტმა ვერ მოახერხა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა, რაც განპირობებულია, საერთაშორისო კონტაქტების ნაკლებობით, საგასტროლო თანხების არ ქონით. რეგიონების თეატრებიდან მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის (აჭარის) თეატრებმა მოახერხეს საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა, ასევე გასათვალისწინებელია არასაბიუჯეტო თეატრის – თავისუფალი თეატრის საგასტროლო მაჩვენებელი. მისი მენეჯმენტი ისეა აწყობილი, რომ ის ახერხებს დაფინანსების მოძიებას საგასტროლო ხარჯების დასაფარად. კვლევამ გამოკვეთა ისიც, რომ შემოქმედებითად გაცილებით აქტიურები არიან ის რეჟისორები, რომლებიც არ მოღვაწეობენ ერთ რომელიმე კონკრეტულ თეატრში.

***– რა მიმართულებით მუშაობს თქვენი კვლევის ცენტრი?***

– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე კვლევის ცენტრი შეიქმნა 2011 წლის მაისში და ამ დროის განმავლობაში კვლევის ცენტრმა ძალიან ბევრი პროექტი განახორციელა



და მათ შორის საერთაშორისოც. პირველი იყო მასშტაბური „პოსტსაბჭოთა დრამატურგია აქცენტები ცენზურის გარეშე დარჩენილ სივრცეში", რომელიც მოიცავდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების დრამატურგების და თეატრმცოდნეების შეხვედრებს, პრეზენტაციებს, კონფერენციას და პიესების თეატრალიზირებულ კითხვებს. მეორე ისეთი მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ განხორციელებულა, ყოველ შემთხვევაში, საჯარო არ გამხდარა არავისთვის, ეს იყო ქართული თეატრი 2012 წელს. ეს არის სტატისტიკური კვლევა, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ციფრებს და არ გამოხატავს თვისობრიობას და ეს არ არის კრიტიკოსების შეფასება, ეს არის მათემატიკურად დათვლილი აქტივობა თეატრების, მსახიობების და რეჟისორების. ხარისხზე ორიენტირებული კვლევა არ არის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი კვლევა, რომ ინფორმაცია გვქონდეს, ვინ როგორ მუშაობს, იმიტომ, რომ აქტივობაში ყოველთვის ვლინდება მსახიობთა, რეჟისორთა და თეატრების ამპლიტუდა.

***– ყველა თეატრში ჩაატარეთ კვლევა?***

– ამ კვლევამ მოიცვა მთელი ქართული თეატრი, რამდენიმე თეატრის გარდა, ამ კვლევაში მონაწილეობა მიიღო რეგიონალურმა 17-მა და თბილისის ათამდე თეატრმა.

***– ვინ დარჩნენ?***

– კვლევაში ვერ შევიდა ბოლნისის თეატრი, ოპერის თეატრი, რომელიც სრულყოფილად ვერ მართავს წარმოდგენებს, იმიტომ, რომ რემონტზეა. ქუთაისის რამდენიმე კერძო თეატრი ვერ ჩაერთო, მაგრამ ძირითადი წამყვანი თეატრები, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში, ამ კვლევაში ყველას მონაცემია შესული. კვლევის დროს მხარში დაგვიდგა თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექცია ირინა ღოღობერიძის ხელმძღვანელობით და საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირი ნიკა წულუკიძის ხელმძღვანელობით. მიხარია, რომ ჩვენმა კვლევამ ინტერესი გამოიწვია როგორც პრესაში, ასევე პროფესიონალებში.

***– გააგრძელებთ კვლევებს?***

– რა თქმა უნდა. ყოველ წელს ჩავატარებთ ასეთ კვლევებს. ეს პროექტი რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად ხორციელდება, 2013 წლის ბოლოს დაიდება ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც წიგნადაც გამოიცემა. ეს არის „ქართული თეატრი 2010-11-12 წლებში სტატისტიკაში, ანალიტიკაში და პრაგმატიკაში". ეს არის უფრო კომპლექსური კვლევა, სადაც წარმოდგენილი იქნება სად, რომელ სპექტაკლზე რამდენი მაყურებელი იყო, რომელი სპექტაკლი გათამაშდა ყველაზე უფრო ხშირად, უკვე ძალიან დეტალურად ვიმუშავებთ.

***– ეს რას მოგვცემს?***

– ეს პირველ რიგში დაეხმარება თვითონ თეატრებს, რომ გაერკვნენ, ვინ როგორ მუშაობს, აუცილებლად დაეხმარება კულტურის სამინისტროს, როცა ის აძლევს დაფინანსებას ამა თუ იმ თეატრს, რომ იცოდეს რამდენად პროდუქტიულია, როგორ მართავს თავის მენეჯმენტს და ა.შ.

***– ბევრი რეჟისორი ამბობს, რომ თეატრის კრიტიკოსები აღარ არიან და მათ სპექტაკლებზე არ იწერება პროფესიონალთა შეფასებები.***

– ამაში მათ ნამდვილად ვერ დავეთანხმები. თეატრის კრიტიკოსები ნამდვილად არსებობენ და ძალიან ბევრი პროფესიონალი გვყავს, უბრალოდ, მათ არ აქვთ სივრცე, სადაც შეიძლება მათი შრომების, რეცენზიების, შეხედულებების, კვლევების, თუნდაც კრიტიკული შენიშვნების ან სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილების გამოქვეყნება. არსებობს მხოლოდ ერთადერთი „თეატრი და ცხოვრება", რომელიც გამოიცემა წელიწადში ექვსჯერ, რაც ძალიან ცოტაა, რადგან კრიტიკა უნდა იყოს ძალიან აქტიური და ძალიან თანმიმდევრული. ვგულისხმობ იმას, რომ სპექტაკლის პრემიერის შემდეგ მეორე, მესამე დღეს გაზეთში რეცენზია უნდა იყოს, სამწუხაროდ, ასეთი საშუალება კრიტიკოსებს უკვე აღარ გვაქვს.

***– თქვენ ახერხებთ გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები?***

– ბლოგი მაქვს ინტერნეტში, ძალიან დაგვეხმარა ტიბისი არტ არეა ხელოვნების სფეროს მოღვაწეებს, ვინც კრიტიკაში ვმოღვაწეობთ. ეს არის თავისუფალი სივრცე ნებისმიერი ხელოვანისთვის და მე პირადად ძალიან დიდი რეალიზაციის საშუალებას მაძლევს. იქ არ ხარ შეზღუდული სტატიის ფორმაში, ამიტომ რასაც ვფიქრობ, როგორც ვფიქრობ, იმაზე და ისე ვწერ. „თეატრი და ცხოვრებაში" კი ჩასმული ხარ ჩარჩოებში, უნდა დაიცვა წესები, სტილი, არტ არეაში კი პროფესიულად გაზრდის საშუალება გეძლევა. სამწუხაროდ, ასეთი სივრცე საკმაოდ ცოტაა. დამიჯერეთ, თეატრმცოდნე გაცილებით მეტია, ვიდრე მათთვის გამოყოფილი ადგილი პრესაში.

***– თქვენ, როგორც თეატრმცოდნე, რა პრინციპით დადიხართ პრემიერებზე?***

– საყვარელი თეატრები მაქვს, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ ყველა თეატრში წავიდე და სპექტაკლები ვნახო. გამორჩეული რეჟისორებიც მყავს, მაგრამ ჩემი პროფესია მავალდებულებს, რომ ყველა თეატრის ყველა სპექტაკლზე ვიარო. ჩემი ვალია ყველა დონის, ყველა რანგის რეჟისორის ნამუშევარი ვნახო.

***– ინარჩუნებთ ობიექტურობას?***

– მაქსიმალურად ვცდილობ ვიყო ობიექტური, მაგრამ ნურასდროს დაგვავიწყდება, რომ თეატრმცოდნე არის სუბიექტი, არის ადამიანი, ის ცდილობს იყო ობიექტური, მაგრამ სპექტაკლის აღქმა ნებისმიერი კრიტიკოსისთვის არის სუბიექტური. ამიტომ სტატისტიკური კვლევა უკვე გამორიცხავს ყველანაირ სუბიექტივიზმს. ეს არის ფაქტები და ამით ხდება მათი ანალიზი. ვიღაცისთვის დავით დოიაშვილის „ქეთო და კოტე" არის შედევრი, ვიღაცისთვის საერთოდ სპექტაკლი არ არის, ვიღაცისთვის რობერტ სტურუას „ნადირობის სეზონი" არის მნიშვნელოვანი საეტაპო სპექტაკლი მის შემოქმედებაში, ვიღაცისთვის კი – ერთი ჩვეულებრივი რიგითი სპექტაკლი. ამიტომ კრიტიკოსის აღქმა ყოველთვის არის სუბიექტური, რომელიც ცდილობს ობიექტურად დაასაბუთოს მისი სუბიექტური აზრი.

***– თქვენ ყოველთვის ახერხებთ ამას?***

– რა თქმა უნდა, ეს რთული პროცესია, მაგრამ როცა არ მომწონს სპექტაკლი, ვეძებ მიზეზებს, რომ დავასაბუთო, რატომ არ მომწონს სპექტაკლი, ან პირიქით, რატომ მომწონს და რატომ არის ეს სპექტაკლი კარგი. კრიტიკოსის ფუნქცია არ არის, თქვას ამა თუ იმ სპექტაკლზე კარგია თუ ცუდი. მან აუცილებლად უნდა გააკეთოს წარმოდგენის ანალიტიკური ანალიზი და უნდა დაასაბუთოს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. თუ ეს პროცედურა იქნება დაცული, მაშინ სუბიექტივიზმი გამორიცხულია.

***– თუ გაგინაწყენებიათ თქვენი წერილით ვინმე?***

– კი, ძალიან ბევრჯერ. ჩვენი პროფესია ძალიან ბევრ წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. პირადად მქონია შემთხვევა, როცა რეჟისორები განაწყენებულან. ზოგი პირიქით, საერთოდ არ იმჩნევს, თითქოს არც კი წაუკითხავს ჩემი რეცენზია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ წაკითხული აქვს. რომელი რეჟისორიც დიპლომატიური გზით მუშაობს კრიტიკოსებთან, ის უფრო დასაფასებელია, იმიტომ, რომ როდესაც იწვევს რეაქციას შენი წერილისადმი, ე.ი. შენ მართალი ხარ და მაპატიეთ ამ ჟარგონისთვის და მას ავუწიეთ ერთი ადგილი. რა თქმა უნდა, არ ვლაპარაკობ იმაზე, როცა კრიტიკოსი აყენებს შეურაცხყოფას რეჟისორს, ეს არ უნდა იყოს, როცა პროფესიული კრიტიკაა.

***– რეჟისორების ამოჩემება ხომ არ იცით?***

– არა, ძალიან ბევრჯერ მქონია ჩემს პრაქტიკაში შემთხვევა, როცა სპექტაკლი არ მომწონებია და დამიწერია უარყოფითი სტატია, მაგრამ იგივე რეჟისორის მიერ დადგმული სხვა სპექტაკლი მინახავს, ძალიან მომწონებია და იმაზე დადებითი სტატია დამიწერია. ძალიან ძნელია, წერო ყველა სპექტაკლზე და გამოეხმაურო, მთავარია, კრიტიკოსებმა იარონ თეატრში, ნახონ რაც შეიძლება ბევრი სპექტაკლი, დაესწრონ ბევრ პრემიერას, რადგან მერე გვქონდეს იმის საშუალება, რომ გავაანალიზოთ შემოქმედებითი პროცესები, რა ხდება თეატრში. შეიძლება კონკრეტული სპექტაკლი რეცენზიის გარეშე დარჩეს, მაგრამ სწორედ მას ჰქონდეს შემოქმედებითი პროცესისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა, მან გააჩინოს იმპულსი ახალი უკეთესი პროექტის შექმნისთვის.

***– გამოდის, რეჟისორები ტყუილად წუწუნებენ, თეატრის კრიტიკოსები აღარ არიანო?***

– რა თქმა უნდა. კატეგორიულად ვერ დავეთანხმები რეჟისორებს. ფაქტი სახეზეა, ათამდე პროფესიონალი თეატრმცოდნე ინტენსიურად დადის თეატრებში, ესწრება პრემიერებს, როგორც კი მათ ეძლევათ საშუალება, ყოველთვის აქვეყნებენ რეცენზიებს. ახალი თაობა მოდის, ჩემს შემდგომი თაობაც კი არსებობს, რომლებიც ინტერნეტ სივრცეში ინტენსიურად წერენ, ამიტომ რეჟისორების წუწუნი იმასთან დაკავშირებით, რომ თეატრის კრიტიკოსები აღარ არიან, მცდარია.

2013, 23 – 24 თებერვალი, №45

# იტალიაში მთავარი მოვლენა მადონინაა



## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 ფულემი-სტოკი | 2.05 | 3.25 | 3.5 |
| 23.02 ქპრ-მანჩესტერი | 6.0 | 4.0 | 1.5 |
| 23.02 არსენალი-ასტონვილა | 1.33 | 4.8 | 8.0 |
| 23.02 ნორვიჩი-ევერტონი | 3.5 | 3.3 | 2.05 |
| 23.02 რედინგი-უიგანი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 23.02 ვესტ ბრომვიჩი-სანდერ. | 2.05 | 3.25 | 3.5 |
| 24.02 ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 2.0 | 3.4 | 3.5 |
| 24.02 სიტი-ჩელსი | 1.95 | 3.5 | 3.6 |
| 25.02 ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 3.2 | 3.3 | 2.15 |

**ფულემი-სტოკი**

ფულემი: ***ტრავმ***-საშა რიხტერი, კრის ბაირდი, კირონ რიჩარდსონი, ქერიმ ფრეი, მაჰამადუ დიარა

სტოკი: ***ტრავმ***-მარკ უილსონი

**ქპრ-მანჩესტერი**

ქპრ: ***ტრავმ***-ფაბიო, ჟულიო სეზარი, ჟოზე ბოსინგვა, ჯუნიორ ჰოილეტი, ლოიც რემი, ენდრიუ ჯონსონი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-პოლ სქოულზი, დარენ ფლეტჩერი

**არსენალი-ასტონ ვილა**

არსენალი: ***ტრავმ***-კირონ გიბსი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ქარიმ ელ აჰმადი, ჩარლზ ნზოგბია, გაბრიელ აგბონლაჰორი, კრის ჰერდი, მარკ ოლბრაიტონი, გარი გარდნერი

**ნორვიჩი-ევერტონი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-გრანტ ჰოლტ, ანტონი პილკინტონი, ჯონ რუდი

ევერტონი: ***ტრავმ***-ვიქტორ ანიშებე, სიმუს კულემანი, ტონი ჰიბერტი

**რედინგი-უიგანი**

რედინგი: ***ტრავმ***-ჯეისონ რობერტსი, ალექს მაკკარტნი

უიგანი: ***ტრავმ***-ემერსონ ბოისი, ივან რამისი, ანტოლინ ალკარაზი, ბენ ვატსონი

**ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ჯორჯ ტორნე, ზოლტან გერა

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დანი როუზი, ჯეიმს მაკლაინი, ვესლი ბრაუნი

**ნიუკასლი-საუთჰემპტონი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-დანი სიმპსონი, იოან გუფრანი, ჰატემ ბენ არფა, რაიან ტეილორი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-დანი ფოქსი, გასტონ რამირესი, გულიო დო პრადო, ლუკ შოუ, ხოსე ფონტე

**სიტი-ჩელსი**

სიტი: ***ტრავმ***-გარეტ ბერი, მიკა რიჩარდსი

ჩელსი: ***ტრავმ***-ორიოლ რომეუ

**ვესტ ჰემი-ტოტენჰემი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯო ობრაიენი, დანიელ პოტსი, ჯეიმს კოლისონი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ტომ ჰადელსტოუნი, ჯერმეინ დეფო, სანდრო, იუნის ქაბული

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 26 | 21 | 2 | 3 | 62:31 | 65 |
| 2.სიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 48:24 | 53 |
| 3.ჩელსი | 26 | 14 | 7 | 5 | 55:28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 26 | 14 | 6 | 6 | 44:30 | 48 |
| 5.არსენალი | 26 | 12 | 8 | 6 | 50:29 | 44 |
| 6.ევერტონი | 26 | 10 | 12 | 4 | 40:32 | 42 |
| 7.ლივერპული | 27 | 10 | 9 | 8 | 49:34 | 39 |
| 8.სუონსი | 27 | 9 | 10 | 8 | 38:34 | 37 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 11 | 4 | 11 | 36:35 | 37 |
| 10.სტოკი | 26 | 7 | 12 | 7 | 26:31 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:38 | 30 |
| 12.ფულემი | 26 | 7 | 8 | 11 | 36:42 | 29 |
| 13.სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 28:34 | 29 |
| 14.ნორვიჩი | 26 | 6 | 11 | 9 | 25:40 | 29 |
| 15.ნიუკასლი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:46 | 27 |
| 16.საუთჰემპტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36:45 | 27 |
| 17.ასტონ ვილა | 26 | 5 | 9 | 12 | 25:50 | 24 |
| 18.რედინგი | 26 | 5 | 8 | 13 | 33:48 | 23 |
| 19.უიგანი | 26 | 5 | 6 | 15 | 30:51 | 21 |
| 20.ქპრ | 26 | 2 | 11 | 13 | 19:41 | 17 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 მალიორკა-ხეტაფე | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 23.02 სარაგოსა-ვალენსია | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 23.02 დეპორტივო-რეალი | 7.5 | 5.0 | 1.36 |
| 23.02 ბარსელონა-სევილია | 1.18 | 7.0 | 13.0 |
| 24.02 რაიო-ვალიადოლიდი | 1.83 | 3.5 | 4.33 |
| 24.02 სელტა-გრანადა | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 24.02 ატლეტიკო-ესპანიოლი | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 24.02 ბეტისი-მალაგა | 2.45 | 3.25 | 2.87 |
| 25.02 ლევანტე-ოსასუნა | 2.0 | 3.4 | 3.75 |

**მალიორკა-ხეტაფე**

მალიორკა: ***ტრავმ***-ანტონიო ლოპესი, ხავიერ არისმენდი, პედრო ბიგასი, ჟოაო ვიქტორი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ალბერტო ლოპო, მიჩელი, ვალერა, ხუან როდრიგესი, ლაფიტა, მანე

**სარაგოსა-ვალენსია**

სარაგოსა: ***ტრავმ***-რომარიკი, ფრანკო ზუკულინი, ხავი ალამო, გლენ ლოვენსი, ივან ობრადოვიჩი

ვალენსია: ***ტრავმ***-ევერ ბანეგა

**დეპორტივო-რეალი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ხესუს ვასკესი, აიტამი, ლაურე

რეალი: ***ტრავმ***-იკერ კასილიასი

**ბარსელონა-სევილია**

ბარსელონა: ***ტრავმ***-დავიდ ვილია

სევილია: ***ტრავმ***-კამპანა, ანდრეს პალოპი, სისინიო, დიეგო პეროტი, პიოტრ ტროხოვსკი

**რაიო-ვალიადოლიდი**

რაიო: ***ტრავმ***-როდრი, მიკელ ლაბაკა

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-მარკ ვალიენტე, პატრიკ ებერტი, ვიქტორ პერესი

**სელტა-გრანადა**

სელტა: ***ტრავმ***-ენრიკე დე ლუკასი, ანდრეს ტუნეცი, უგო მალო, სამუელ ლორკა

გრანადა: ***ტრავმ***-ბრაიან ანგულო, პეპ დიაკატე, დანიელ ბენიტესი, ფრან რიკო

**ატლეტიკო-ესპანიოლი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

ესპანიოლი: ***ტრავმ***-რაულ ბაენა

**ბეტისი-მალაგა**

ბეტისი: ***ტრავმ***-რუბენ კასტრო, პუზილო, სალვა სევილია, ედერ ვილარჩაო, ალექს მარტინესი

მალაგა: ***ტრავმ***-სება ფერნანდესი, ხესუს გამესი, დუდა, ელისეუ

**ლევანტე-ოსასუნა**

ლევანტე: ***ტრავმ***-გუსტავო მუნუა, ნაბილ ელ ზარი

ოსასუნა: ***ტრავმ***-მანუელ ომოუ, ანტონი ანანი, დავიდ ტიმორი, ფრანსისკო პუნალი, სისი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 21 | 2 | 1 | 80:27 | 65 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 17 | 2 | 5 | 47:23 | 53 |
| 3.რეალი | 24 | 15 | 4 | 5 | 60:22 | 49 |
| 4.მალაგა | 24 | 12 | 6 | 6 | 35:21 | 42 |
| 5.ვალენსია | 24 | 12 | 4 | 8 | 34:35 | 40 |
| 6.სოსიედადი | 24 | 10 | 7 | 7 | 38:30 | 37 |
| 7.რაიო | 24 | 12 | 1 | 11 | 33:41 | 37 |
| 8.ბეტისი | 24 | 11 | 3 | 10 | 31:35 | 36 |
| 9.ლევანტე | 24 | 10 | 4 | 10 | 30:36 | 34 |
| 10.სევილია | 24 | 9 | 5 | 10 | 33:35 | 32 |
| 11.ხეტაფე | 24 | 9 | 5 | 10 | 34:41 | 32 |
| 12.ესპანიოლი | 24 | 8 | 7 | 9 | 31:34 | 31 |
| 13.ვალიადოლიდი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:32 | 30 |
| 14.გრანადა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:34 | 26 |
| 15.ბილბაო | 24 | 7 | 5 | 12 | 29:46 | 26 |
| 16.ოსასუნა | 24 | 5 | 7 | 11 | 20:27 | 25 |
| 17.სარაგოსა | 24 | 7 | 3 | 14 | 22:34 | 24 |
| 18.სელტა | 24 | 5 | 5 | 14 | 22:31 | 20 |
| 19.მალიორკა | 24 | 4 | 6 | 14 | 23:45 | 18 |
| 20.დეპორტივო | 24 | 3 | 7 | 14 | 28:54 | 16 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 პალერმო-ჯენოა | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 24.02 სამპდორია-კიევო | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 24.02 კალიარი-ტორინო | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 24.02 ატალანტა-რომა | 3.1 | 3.25 | 2.3 |
| 24.02 იუვენტუსი-სიენა | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 24.02 პარმა-კატანია | 2.05 | 3.25 | 3.75 |
| 24.02 ბოლონია-ფიორენტინა | 3.3 | 3.25 | 2.2 |
| 24.02 ინტერი-მილანი | 3.1 | 3.4 | 2.25 |
| 25.02 უდინეზე-ნაპოლი | 3.0 | 3.25 | 3.27 |
| 25.02 ლაციო-პესკარა | 1.22 | 6.0 | 12.0 |

**პალერმო-ჯენოა**

პალერმო: ***ტრავმ***-ანდრეა მანტოვანი, აბელ ერნანდესი

ჯენოა: ***ტრავმ***-ენის ნადარევიჩი, ანტონიო ფლორო ფლორესი, ბოშკო იანკოვიჩი

**სამპდორია-კიევო**

სამპდორია: ***ტრავმ***-ანჯელო პალომბო

კიევო: ***ტრავმ***-ადრიან სტოიანი, ჯენარო სარდო, ბუქარი დრამე

**კალიარი-ტორინო**

კალიარი: ***ტრავმ***-არავინ

ტორინო: ***ტრავმ***-მარიო სანტანა

ატალანტა-რომა

ატალანტა: ***ტრავმ***-ლუკა გიგარინი, მიქელე ფერი, გვიდო მარილუნგო

რომა: ***ტრავმ***-ლეანდრო გასტანი, დოდო, მატია დესტრო

**იუვენტუსი-სიენა**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-პაოლო დი ჩელიო, ჯორჯო კიელინი, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე

სიენა: ***ტრავმ***-ანჯელო

**პარმა-კატანია**

პარმა: ***ტრავმ***-მაკდონალდ მარიგა, ანტონიო მირანტე, ფაბიანო სანტაკროჩე, დანიელე გალოპა

კატანია: ***ტრავმ***-პაბლო ბარიენტოსი, მარიანო იზცო, ჩირო კაპუანო, ფაბიო სკიაცა

**ბოლონია-ფიორენტინა**

ბოლონია: ***ტრავმ***-ჩეზარე ნატალი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მატიას ფერნანდესი

**ინტერი-მილანი**

ინტერი: ***ტრავმ***-დიეგო მილიტო, ჟოელ ობი, გაბი მუდინგაი, ვალტერ სამუელი, ლუკა კასტელაცი

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონინი, მარკო ამელია, რობინიო, დანიელ ბონერა, ნაიჯელ დე იონგი

**უდინეზე-ნაპოლი**

უდინეზე: ***ტრავმ***-ჯანპიერო პინცი, ჟელკო ბრკიჩი

ნაპოლი: ***ტრავმ***-რინაუდო

**ლაციო-პესკარა**

ლაციო: ***ტრავმ***-კრისტიან ბროკი, მიროსლავ კლოზე

პესკარა: ***ტრავმ***-ხუან კინტერო, ფერდინანდო სფორცინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 17 | 4 | 4 | 50:17 | 55 |
| 2.ნაპოლი | 25 | 15 | 6 | 4 | 46:21 | 51 |
| 3.მილანი | 25 | 13 | 5 | 7 | 44:31 | 44 |
| 4.ლაციო | 25 | 14 | 5 | 7 | 35:29 | 44 |
| 5.ინტერი | 25 | 13 | 4 | 8 | 40:33 | 43 |
| 6.ფიორენტინა | 25 | 12 | 6 | 7 | 45:30 | 42 |
| 7.კატანია | 25 | 11 | 6 | 8 | 32:30 | 39 |
| 8.რომა | 25 | 11 | 4 | 10 | 51:45 | 37 |
| 9.უდინეზე | 25 | 9 | 9 | 7 | 35:34 | 36 |
| 10.პარმა | 25 | 8 | 8 | 9 | 31:33 | 32 |
| 11.ტორინო | 25 | 7 | 11 | 7 | 29:28 | 31 |
| 12.სამპდორია | 25 | 8 | 6 | 11 | 31:30 | 29 |
| 13.კიევო | 25 | 8 | 5 | 12 | 26:40 | 29 |
| 14.კალიარი | 25 | 7 | 7 | 11 | 28:41 | 28 |
| 15.ატალანტა | 25 | 8 | 5 | 12 | 22:35 | 27 |
| 16.ბოლონია | 25 | 7 | 5 | 13 | 33:35 | 26 |
| 17.ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 26:37 | 25 |
| 18.სიენა | 25 | 7 | 6 | 12 | 27:34 | 21 |
| 19.პესკარა | 25 | 6 | 3 | 16 | 20:51 | 21 |
| 20.პალერმო | 25 | 3 | 10 | 12 | 22:39 | 18 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 ბაიერნი-ვერდერი | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 23.02 ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.37 | 3.4 | 2.87 |
| 23.02 აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 23.02 მაინცი-ვოლფსბურგი | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 23.02 შტუტგარტი-ნიურნბერგი | 2.1 | 3.4 | 3.4 |
| 23.02 შალკე-ფორტუნა | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 24.02 გლადბახი-დორტმუნდი | 5.0 | 3.75 | 1.67 |
| 24.02 ფიურტი-ლევერკუზენი | 4.5 | 3.75 | 1.75 |

**ბაიერნი-ვერდერი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-კლაუდიო პიზარო, ჰოლგერ ბადშტურბერი

ვერდერი: ***ტრავმ***-აარონ ჰანტი, სოკრატის პაპასტოპულოსი, თეოდორ გებრესელასიე, ნიკლას ფულკრუგი

**ჰანოვერი-ჰამბურგი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-მარიო ეგიმანი, სტივ ჩერუნდოლო, ლარს სტინდი, ფელიპე, ლეონ ანდრიასენი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-რენე ადლერი, ჟი გინ ლამი, ივო ილიჩევიჩი, ჯაკოპო სალა

**აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-იან მორავეკი, რონი ფილპი, სიმონ ჯენტში, მილან პეტრჟელა, პოლ ვერაენი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ტიმ ვიზე, ლუის ადვიჩულა, სეიად სალიჰოვიჩი, სებასტიან რუდი, ბორის ვუკჩევიჩი

**მაინცი-ვოლფსბურგი**

მაინცი: ***ტრავმ***-იან კირხოფი, ლორის კარუისი, ნიკო ბუნგერტი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ფერან ჰასანი

**შტუტგარტი-ნიურნბერგი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-თუნაი თორუნი, მამადუ ბა, კაკაუ

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ტიმო გერბრახტი, მარკოს ანტონიო

**შალკე-ფორტუნა**

შალკე: ***ტრავმ***-ატსუდო უჩიდა, ჩიპრიან მარიკა, კრისტიან მორიტცი, იბრაჰიმ აფელაი, კირიაკოს პაპადოპულოსი

ფორტუნა: ***ტრავმ***-ანდრეი ვორონინი, ნანდო რაფაელი

**გლადბახი-დორტმუნდი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ბრანიმირ ჰრგოტა

დორტმუნდი: ***ტრავმ***-პატრიკ ოვამოიელა

**ფიურტი-ლევერკუზენი**

ფიურტი: ***ტრავმ***-შტეფან ფურნსტერი, ზოლტან სტიბერი, ჰაინრიხ შმიტდგალი, სებასტიან ტირალა

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ქარიმ ბელარაბი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 18 | 3 | 1 | 57:7 | 57 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 12 | 6 | 4 | 50:26 | 42 |
| 3.ლევერკუზენი | 22 | 12 | 5 | 5 | 43:30 | 41 |
| 4.აინტრახტი | 22 | 11 | 4 | 7 | 38:34 | 37 |
| 5.ფრაიბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:22 | 34 |
| 6.ჰამბურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 27:27 | 34 |
| 7.მაინცი | 22 | 9 | 5 | 8 | 30:27 | 32 |
| 8.ჰანოვერი | 22 | 9 | 3 | 10 | 41:41 | 30 |
| 9.შალკე | 22 | 8 | 6 | 8 | 35:37 | 30 |
| 10.გლადბახი | 22 | 7 | 9 | 6 | 31:33 | 30 |
| 11.ვერდერი | 22 | 8 | 4 | 10 | 38:41 | 28 |
| 12.შტუტგარტი | 22 | 8 | 4 | 10 | 24:39 | 28 |
| 13.ფორტუნა | 22 | 7 | 6 | 9 | 27:29 | 27 |
| 14.ნიურნბერგი | 22 | 6 | 8 | 8 | 22:29 | 26 |
| 15.ვოლფსბურგი | 22 | 7 | 5 | 10 | 22:32 | 26 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 22 | 4 | 4 | 14 | 26:46 | 16 |
| 17.აუგსბურგი | 22 | 2 | 9 | 11 | 18:35 | 15 |
| 18.ფიურტი | 22 | 2 | 6 | 14 | 13:36 | 12 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 23.02 რენი-სოშო | 1.6 | 3.6 | 6.0 |
| 23.02 აიაჩო-ლილი | 3.6 | 3.0 | 2.2 |
| 23.02 ნანსი-სენტ | ეტიენი3.75 | 3.2 | |
| 2.05 | | | |
| 23.02 ტრუა-ბასტია | 2.05 | 3.2 | 3.75 |
| 23.02 ევიანი-მონპელიე | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 23.02 ვალანსიენი-ტულუზა | 2.25 | 3.2 | 3.25 |
| 24.02 ლიონი-ლორიენი | 1.67 | 3.5 | 5.5 |
| 24.02 ბორდო-ბრესტი | 1.5 | 3.8 | 7.5 |
| 24.02 პსჟ-მარსელი | 1.53 | 3.8 | 6.5 |

**რენი-სოშო**

რენი: ***ტრავმ***-რომაინ ალესანდრინი, ვინსენტ პაიო, იონ ბოიე, ვიქტორ მონტანო, ჯონათან პიტროიპა

სოშო: ***ტრავმ***-როი კონტო, კარლაო, იასინ მიკარი, პიერიკ კროსი, ტიერი დობაი

**აიაჩო-ლილი**

აიაჩო: ***ტრავმ***-ადრიან მუტუ, ჩაჰირ ბელაზუანი, ბენჯამინ ანდრე, ფოსენი დიავარა

ლილი: ***ტრავმ***-რიო მავუბა, რაიან მენდესი

**ნანსი-სენტ ეტიენი**

ნანსი: ***ტრავმ***-ზირი ჰამარი, იორდან ლოტიე

სენტ ეტიენი: ***ტრავმ***-ბრანდაო, დანიელ ალეკსიჩი, ალეხანდრო ალონსო, ბანელ ნიკოლიტა

**ტრუა-ბასტია**

ტრუა: ***ტრავმ***-ელოგე ენზა-იამისი, სებასტიან გრო

ბასტია: ***ტრავმ***-მეტიუ სანსი, იანიკ კაუზაკი

**ევიანი-მონპელიე**

ევიანი: ***ტრავმ***-შტეფან ანდერსენი, მოჰამედ რაბიუ, ჯაკარიდა კონე, სედრიკ მონგონგუ, ალი მადი

მონპელიე: ***ტრავმ***-რემი კაბელა, სულეიმან სამარა, ბენჯამინ სტამბული, ჯამელ საიჰი, ქარიმ აიტ ფანა, გარი ბოკალი

**ვალანსიენი-ტულუზა**

ვალანსიენი: ***ტრავმ***-მეტიუ დოსევი, მარკო და სილვა, ნიკოლას ისიმატმირინი

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯონათან ძებინა

**ლიონი-ლორიენი**

ლიონი: ***ტრავმ***-იოან გურკუფი, ჯიმი ბრიანდი

ლორიენი: ***ტრავმ***-ბენჯამინ კორნე

**ბორდო-ბრესტი**

ბორდო: ***ტრავმ***-მარიანო, კარლოს ენრიკე, ადი სახო, ლენდრი ნგუემო, ჩეიკ დიაბატე

ბრესტი: ***ტრავმ***-ლარსენ ტურე, ბრუნო გრუგი, ბენუა ლესო

**პსჟ-მარსელი**

პსჟ: ***ტრავმ***-ჯერემი მენეზი, ლუკას მოურა, ტიაგო სილვა

მარსელი: ***ტრავმ***-ბენუა ჩეირო, ჩარლზ კაბური, ანდრე აიევი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 15 | 6 | 4 | 47:16 | 51 |
| 2.ლიონი | 25 | 14 | 6 | 5 | 43:24 | 48 |
| 3.მარსელი | 25 | 14 | 4 | 7 | 32:29 | 46 |
| 4.ნიცა | 25 | 11 | 9 | 5 | 37:28 | 42 |
| 5.სენტ | ეტიენი25 | 11 | 8 | 6 | 37:19 | |
| 41 | | | | | | |
| 6.რენი | 25 | 12 | 4 | 9 | 37:32 | 40 |
| 7.ლორიენი | 25 | 10 | 9 | 6 | 41:39 | 39 |
| 8.მონპელიე | 25 | 11 | 5 | 9 | 40:32 | 38 |
| 9.ბორდო | 25 | 9 | 11 | 5 | 26:20 | 38 |
| 10.ლილი | 25 | 9 | 10 | 6 | 31:25 | 37 |
| 11.ვალანსიენი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:36 | 33 |
| 12.ტულუზა | 25 | 8 | 8 | 9 | 32:32 | 32 |
| 13.აიაჩო | 25 | 7 | 10 | 8 | 28:33 | 29 |
| 14.სოშო | 25 | 7 | 5 | 13 | 25:36 | 26 |
| 15.ბასტია | 25 | 7 | 5 | 13 | 29:51 | 26 |
| 16.ბრესტი | 25 | 7 | 4 | 14 | 25:36 | 25 |
| 17.რეიმსი | 25 | 5 | 9 | 11 | 22:29 | 24 |
| 18.ევიანი | 25 | 5 | 8 | 12 | 23:38 | 23 |
| 19.ტრუა | 25 | 3 | 10 | 12 | 28:46 | 19 |
| 20.ნანსი | 25 | 3 | 9 | 13 | 22:41 | 18 |

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

# ბექა ბურჯანაძე: ეროვნულ ნაკრებში შესაძლოა ამ ზაფხულშივე გამომიძახონ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მაშა და ბურთს არც კი შეხებია, თუმცა, მას შემდეგ პროგრესირება არ შეუწყვეტია. წლეულს, ბურჯანაძეს სევილიელთა თავკაც აიტო რენესესისგან, რომელიც ახალგაზრდა მოთამაშეებთან მუშაობით არის ცნობილი, გაცილებით დიდი ნდობა აქვს. ქართველმა კალათბურთელმა ესპანურ ლიგაში უკვე 18 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 1.8 ქულას და 1.0 მოხსნას აგროვებს, ევროთასის 8 შეხვედრაში კი მისი საშუალო მონაგარი 2.4 ქულა და 1.8 მოხსნაა.

ცხადია, 19 წლის კალათბურთელის უმთავრესი მიზანი ქვეყნის ეროვნული ნაკრებში მოხვედრაა, რისკენაც ბურჯანაძე დამაჯერებელი ნაბიჯებით მიდის.

ბექა ბურჯანაძე:

– ეს ჩემი ოცნებაა, მას შემდეგ, რაც კალათბურთის თამაში დავიწყე. არსებობს აზრი, რომ ეროვნულ ნაკრებში შესაძლოა ამ ზაფხულშივე გამომიძახონ, თუმცა, ამჟამად მხოლოდ იმაზე ვარ კონცენტრირებული, რომ უკეთესი მოთამაშე გავხდე. ზაფხული მოვა და ვნახავთ, რა მოხდება.

ბოლო წლებია, საქართველოს ნაკრები ევროპული კალათბურთის ელიტაში ტრიალებს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეორედ ითამაშებს. ეს ქართველთა ჩინებული თაობის დამსახურებაა, რომელსაც ზაზა ფაჩულია და ვიქტორ სანიკიძე უდგანან სათავეში, ახლო პერიოდში კი ჯერი უკვე მომდევნო თაობაზე მიდგება. აქ წამყვანი როლებზე უკვე თორნიკე შენგელია და ბექა ბურჯანაძე იქნებიან, რომლებიც ქართველებს უმაღლეს დონეზე ადგილის შენარჩუნებაში უნდა დაეხმარონ.

ბექა ბურჯანაძე:

– ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრება უდიდესი ნაბიჯი იქნება. იქ ხომ სულ სხვა დონის მოთამაშეები დამხვდებიან, რომლებიც ნბა-ს და ევროლიგის წამყვან კლუბებში თამაშობენ და ხშირად საუკეთესო მექულეები და მომხსნელები არიან. ვფიქრობ, 20-წლამდელთა ნაკრებისგან ეს ძალიან განსხვავდება. სწორედ ამიტომ, ყოველდღიური შრომა მმართებს, რომ მიზანს მივაღწიო.

# გელა კვაჭანტირაძე: „ნაცმოძრაობა სტალინზე უარესია“

თამარ ნინიძე



## ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

***– მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში გამოსვლას ითხოვს. ამაზე მან პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილისგან მიიღო პასუხი, რომ მარტის ბოლოს შესაძლებელი იქნება ეს გამოსვლა, თუკი პარლამენტარებს ექნებათ სააკაშვილის მოსმენის სურვილი. რა აქვს ასეთი სათქმელი სააკაშვილს, რომ ვერ ითმენს?***

– ეს გამოსვლა კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურაა და უარი მისთვის არავის უთქვამს, პარლამენტის თავმჯდომარემ მხოლოდ განმარტა, რომ შესაფერისი დროისთვის გადაიდო პრეზიდენტის მოსმენა. ახალი რა უნდა უთხრას საზოგადოებას სააკაშვილმა, არ იქნება რაიმე სიახლე მის გამოსვლაში, უბრალოდ, შეიძლება წამოწიოს ისეთი თემები, რომელიც ახალი დაპირისპირების მაპროვოცირებელი იქნება.

***–ფაქტია, რომ ნაცმოძრაობა ვაჭრობს კოალიციასთან, კონსტიტუციაში ჩანაწერი უნდა გაკეთდეს, რომ საქართველო ირჩევს დასავლურ კურსს და ასევე რომ ნაცმოძრაობის დაბალი რგოლებისთვის უნდა იყოს ამნისტია. თქვენი აზრით, რაიმე რისკებთან არის დაკავშირებული ეს მოთხოვნები?***

– პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, თუ რა მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ოცნებასა და ნაცმოძრაობას შორის. 17 თებერვალს „ქართული ოცნება“ დათანხმდა, რომ უპირობო და სრული ამნისტია განხორციელებულიყო საშუალო და ქვედა რგოლების თანამდებობის პირებზე, გარდა ჩადენილი მძიმე დანაშაულისა, „ქართული ოცნება“ თანახმა იყო ნაწილობრივი ამნისტიისა, თუ ამ პირებისთვის აიკრძალებოდა ხუთი წლით საჯარო სამსახურში მუშაობა. ამაზე ნაციონალებმა უარი განაცხადეს, 18 თებერვალს წამოაყენეს თავიანთი პირობები, რომლითაც მოითხოვეს სრული და უპირობო ამნისტია ყველა რგოლის საჯარო მოხელეებისთვის, პრეზიდენტისა და მინისტრებისთვის არ მოუთხოვიათ. თუ ამაზე „ქართული ოცნება“ დათანხმდებოდა, მაშინ ნაცმოძრაობაც წავიდოდა კონსტიტუციურ შეთანხმებაზე. ამას არ დაეთანხმა „ქართული ოცნება“ და გამოაცხადა, რომ ორ კვირაში მაინც გავიტანთ ამნისტიის კანონს კენჭისყრაზეო. რას ნიშნავს ეს პოლიტიკური ფარიკაობა? თუ „ქართული ოცნება“ არ დათანხმებოდა 18 თებერვალს წამოყენებულ პირობებზე, მათ დარჩებოდათ სათქმელი, რომ პრეზიდენტისა და მინისტრებზე კი არ ვითხოვთ ამნისტიას, არამედ პატიოსან საჯარო მოხელეებზე, ის სვლა, რაც გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ რომ პარლამენტზე გაიტანონ ამნისტია, ეს არის ერთადერთი სწორი პასუხი, რომ ეს არგუმენტი გამოაცალონ ნაცებს. მინუსს ეს მოლაპარაკებები „ქართული ოცნებისთვის“ მაინც შეიცავს. საზოგადოებაში ნაცებისთვის ძალიან მძიმე ფონია. არის განწყობა, რომ არავითარი მოლაპარაკება ნაციონალებთან და დათმობა არ უნდა იყოს და არის პოზიცია, რომ აიკრძალოს ნაცმოძრაობა. ამ ფონზე იმის დადასტურება, რომ მიდიოდა მოლაპარაკება, საზოგადოებაში ეს აღიქმება, როგორც უარყოფითი ნაბიჯი. ამით სარგებლობენ ნაციონალები, ასეთი მოლაპარაკებების დროში გაჭიმვა „ქართულ ოცნებას“ რეიტინგს დააკლებს.

***– როცა ქვედა რგოლებს იმის გარანტია ექნებათ, რომ ამნისტირებულები პასუხს არ აგებენ წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულზე, ალბათ, ისინი მათ ზემდგომებზე არ მისცემენ ჩვენებებს, არის ასეთი საშიშროება?***

– რა თქმა უნდა, ასეთი საფრთხე ყოველთვის არის, როცა პირდაპირი პასუხისმგებლობის ქვეშ არიან, მაშინაც კი რთულია საქმეების გამოძიება, უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს და ყოფილი ხელმძღვანელის მითითებებს შეასრულებენ.

***– 19 აპრილს ნაცებმა დააანონსეს ყოფილი პარლამენტის წინ მიტინგი. აპრილი მძიმე თვეა, ხომ არ ფიქრობთ, რომ აპრილში სააკაშვილი ისარგებლებს თავისი უფლებებით და დაითხოვს მთავრობასა და პარლამენტს?***

– ესეც ეშმაკური გათვლაა, მარტში მათ შეუძლიათ, გააგრძელონ ვაჭრობა „ქართულ ოცნებასთან“, მარტის ბოლოს სააკაშვილი გამოვა პარლამენტში და ეცდება, ახალი პროვოკაციული თემები წამოსწიოს, მერე მოდის აპრილი, ჩაატარებენ მიტინგს, არაერთი მიტინგი გვინახავს, იქ სულ რამდენიმე ათასი კაცია საჭირო, რომ შეიქმნას ხალხმრავლობის ილუზია, ქუჩა გადაიკეტება, ნაცები შეეცდებიან, რაღაც ექსცესი მოაწყონ და ამით ახალი რვა თებერვალი შექმნან. იტყვიან, გვირტყამენ, გვსჯიან, ჩაგრულის იმიჯს შეიქმნიან. ეს არის მთელი ანატომია ამ ინტრიგანული პოლიტიკის, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და გონს მოვიდნენ და კონსტრუქციულად ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში. თავი დაანებონ ქვეყნის იმიჯის გაფუჭებას. ნამდვილი სურვილი მოლაპარაკებისა და მონანიების არ ჩანს.

***– კობა დავითაშვილს მიაჩნია, რომ ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ. აქვთ მათ ამის რესურსი?***

– მე არ ვიცი, კობა რას გულისხმობს გადატრიალებაში, თუ შეიარაღებულს გულისხმობს, არა მგონია, ეს მოხდეს, ამის რესურსი ამათ არ გააჩნიათ, მაგრამ, რაც შეეხება კონსტიტუციურ გადატრიალებას, აქეთკენ არის მიმართული ეს ყველაფერი, როგორმე გაუტეხოს სახელი ახალ ხელისუფლებას ქვეყნის გარეთ, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან არის დამოკიდებული მის გარე მეგობრებზე, ქვეყნის შიგნით ცდილობენ შექმნან პოლიტიკური კრიზისი და ხალხის უკმაყოფილება გაზარდონ.

***– ნაცები ისე ცდილობენ წარმოადგინონ, რომ მხოლოდ მათი პრეროგატივაა დასავლური კურსი და სხვა არავისი, ქვეყნის შიგნით ხალხის მოტყუება სურთ, რომ „ქართული ოცნება“ რუსულ ვექტორზე გადავიდა, ქვეყნის გარეთ კი ლობისტების საშუალებით ამ ხელისუფლებას იმიჯს უსპობენ.***

– ნაცები ცდილობენ, მონოპოლიზება გაუკეთონ პროდასავლურ კურსს, სამწუხაროდ, ისინი საინფორმაციო პოლიტიკას ჯერჯერობით იგებენ, კაცმა არ იცის, რა ფულით ფინანსდება მათი ლობისტური კომპანიები, ამიტომ „ქართული ოცნება“ ვერ ახერხებს საინფორმაციო ომის აქტიურად წარმართვასა და გამარჯვებას. საქართველო ყოველთვის ევროპისკენ იყურებოდა, ის ყოველთვის არის ევროპის ნაწილი.

***– გია თორთლაძის მოსაზრება გავრცელდა, რომ ახალ ხელისუფლებას პროდასავლური კურსი არ აინტერესებს და ამის მაგალითად მოჰყავს სტალინის ძეგლების დადგმა. თქვენ რას ფიქრობთ ამ მოსაზრებაზე?***

– ეს არის უდიდესი სისულელე, თითიდან გამოწოვილი არგუმენტია, სტალინიზმის პრობლემა წინა საუკუნეში იყო, ახლა სტალინიზმზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ იმაზე, რომ შევაფასოთ ნაცმოძრაობა, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმი, იყო თუ არა. ადამიანების მცირე ნაწილის კერპთაყვანისმცემლობის გამოყენება არასწორი მგონია. ეს არ არის აქტუალური დღეს. თუ ვილაცას სტალინი უყვარს, ამის გამო არ შეიძლება, ეს ადამიანი დავაპატიმროთ. საზოგადოებას კარგად ესმის, ვინ იყო სტალინი, რა არის სამართლიანობა, დემოკრატია.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ნიგერიელი მეკობრეები რუს მეზღვაურებს ნორმალურად ეპყრობიან და გამოსასყიდს ელიან




ნიგერიელი მეკობრეები პირობას დებენ, რომ გამოსასყიდის მიღების შემდეგ, რუს მეზღვაურებს სამშვიდობოზე გაუშვებენ. ორი მათგანი, რომლებიც 6 თებერვალს კამერუნის წყლებში, ბრიტანულ ხომალდ „ესტერზე" დააკავეს, ორ კვირაზე მეტია გათავისუფლებას ელის. მესამე მეზღვაური, ნიგერიის „სანავთობო" შტატ ბაიელესის სანაპიროსთან სიახლოვეს, მალაიზიური „არმადადამ" ტყვედ 17 თებერვალს აიყვანეს; მასში და დანარჩენ უცხოელებში მეკობრეებმა 1,3 მილიონი დოლარი მოითხოვეს.

ხომალდ „ესტერის" კაპიტანი ვალერი ვინოგრადოვი და უფროსი მექანიკოსი ანდრეი კორნეევი ერთად იმყოფებიან, თავს ნორმალურად გრძნობენ, განაცხადეს მათ ბრიტანული ტვირთმზიდის ოპერატორი-კომპანიის მიერ დაქირავებულ სპეციალისტებთან სატელეფონო საუბრისას. „მათი გათავისუფლებისთვის გამტაცებლები სუფთა მატერიალურ მოთხოვნებს აყენებენ", – ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების საიტზე, რომელიც აღნიშნავს, რომ მეზღვაურების გამოშვებისთვის ყველა ზომა ხორციელდება. რუსებთან ერთად ეკიპაჟის კიდევ ერთი წევრი, რუმინეთის მოქალაქე რჩება.

ასეთივე სიტუაციაა „არმადის" კაპიტნის უფროს თანაშემწე, ანდრეი ნოვიკოვთან დაკავშირებით. საგარეო უწყებაში იმის დადასტურება მიიღეს, რომ ის სამი უკრაინელი და ორი ინდოელი, რომლებიც ხომალდიდან მათთან ერთად მოხსნეს, ცოცხლები არიან. „მათი გათავისუფლებით დაკავებული ხომალდის მფლობელი კომპანიის წარმომადგენლები საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი", – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებაში ასევე აცხადებენ, რომ მალაიზიურ ბუქსირზე და ბრიტანულ ხომალდზე თავდასხმა ერთი და იმავე დამნაშვეების მიერ განხორციელდა.

გ. მ.

# ვაჟა ქღენტი

## 85 წლისაა



გამოჩენილ ქართველ კალათბურთელს, ცნობილ ქართველ მეღვინეს, ნაღდ ქალაქელ კაცს, ბატონ ვაჟა ქღენტს 85 წელი შეუსრულდა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სამ ოჯახში გაატარა. ეს არის მისი პირადი ოჯახი – მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები; მეორე – ქართველ კალათბურთელთა სახელოვანი ოჯახი და მესამე – მეღვინეთა დიდი ოჯახი. იგი სამაგალითოა ღღევანდელი ახალგაზრდებისათვის. მან ნათლად დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება, სწორი გზით იარო, მიაღწიო მრავალ წარმატებას და ასე მხნედ გამოიყურებოდე. მრავალჟამიერ, ჩვენო ვაჟა!

*ქართველი ვეტერანი მეღვინეები*

## განცხადებები

- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.
- **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423



# TV პროგრამა

## ორშაბათი 25 თებერვალი

06.30 დ/ფ „სლავას თოვლის შოუ„ 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ადამიანი პლანეტა„ 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 00.00 „საფარი„ 00.30 მხ/ფ „ ტეხასური ჟლეტა ხერხით: დასაწყისი„ (ტიტ.)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები„ — „ედინბურგი„ 09.00 მხ/ფ „მის კონგენიალურობა„ (ს. ბალოკი) 10.45 მხ/ფ „მის კონგენიალურობა-2„ 12.35 მხ/ფ „ქალი კატა„ (ჰ. ბერი„ შ. სტოუნი) 14.15 დ/ფ „ღვინო„ 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ მე-3 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 6 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4„ 14.40 სერ. „24 – 5„ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი„ 3 სერ. 23.00 მხ/ფ „ლარი ქრაუნი„ (ჯ.რობერტსი) 01.00 სერ. „ღვინის გზა„ 01.35 მხ/ფ „შიშის აჩრდილი„ (მ.დევისი) (ტიტ.) 03.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „გაფითრებული თებერვლის ლანდი„ 07.00 მხ/ფ „მაისის თოვლი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „იყო შაშვი მგალობელი„ 13.30 კონცერტი -ანდრე რიე 14.50, 18.35, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ალალე„ 17.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 17.35 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ I ნაწ. 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 საქართველოს ისტორია 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული„ 23.30 მოკ/ფ „ქოლგა„ 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიმარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## სამშაბათი 26 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ 17.00 „საფარი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 მხ/ფ „ ჰაზარდელი დიუკები„ 01.40 დ/ფ „ ჩირლიდერები„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 3 ნაწ. 14.00 დ/ფ „ღვინო„ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 4 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 2 სერ. 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 დოკ/ფ „შობის ბრწყინვალე დღესასწაული„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „მეოჯახე„ (ნ.კეიჯი) 00.30 სერ. „ღვინის გზა„ 01.05 მხ/ფ “სიკვდილის შემდეგ“ (ჟ.კ.ვან დამი) 02.35 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ„„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.30 ოსკარი 2013 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 სპექტაკლი „ალალე„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული„ 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ I ნაწ. 13.25 კონცერტი-სასულე მუსიკის ფესტივალი 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „იწყება ზღაპარი„ 16.15 აქტუალური თემა 16.35 დოკ/ფ „სიაუშ ქართველი„ 17.35 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ II ნაწ. 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დოკ/ფ „ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო„ 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „პეიტარი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიმარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## ოთხშაბათი 27 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 დ/ფ „კილიმანჯარო აკონკაგუა„ (რეჟ:გ.თორთლაძე) 23.40 მხ/ფ „ზოდიაქო„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 4 ნაწ. 14.00 დ/ფ „ღვინო„ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 5 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ —„ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო„ (პ/ე) 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 8 სერ. 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 დოკ/ფ „მზიანი შობა„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 19.05 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი„ 6 სერ. 23.00 მხ/ფ „ფული ორისათვის„ (ა.პაჩინო) 01.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.50 მხ/ფ „უცხოპლანეტელი – 3„ (ს.უივერი) 03.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ„„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი
5.00 მხ/ფ შავი გედი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „სიაუშ ქართველი„ 07.25 მოკ/ფ „პეიტარი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო„ 11.05 მოკ/ფ „ქოლგა„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ანიტა რაჭველიშვილი 14.50, 22.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ III ნაწ. 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „თბილისის თავგადასავალი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „დღეს ღამე უთენებია„

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიმარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## ხუთშაბათი 28 თებერვალი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.05 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ როგორ შეგვქმნა დედამიწამ„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი - 4„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 5 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ I ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ I სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 9 სერ. 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გააჩერე 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „რა სურთ ქალებს„ (მ.გიბსონი) 00.30 სერ. „ღვინის გზა„ 01.05 მხ/ფ „პირდაპირი მოქმედება„ (დ.ლუნდგრენი) 02.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ„ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „დღეს ღამე უთენებია„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „თბილისის თავგადასავალი„ 11.15 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ II ნაწ. 13.25 კონცერტი-სამი ვარსკვლავი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „ჩრდილი გზაზე„ 17.30 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ IV ნაწ. 18.10 გახსენება-რამაზ ჩხიკვაძე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ III ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „დიდი ქალაქის ჩირაღდნები„

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიმარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## პარასკევი 1 მარტი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.45 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ეგვიპტიდან„ 17.00 დ/ფ „ისლანდიის ვულკანის მორიგი ამოფრქვევა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „აშულ ქარიში„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. 14.00 დ/ფ სიცოცხლე„ 2 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 7 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 2 ნაწ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 სერ. „ღვინის გზა„ 00.50 მხ/ფ „მატჩ პოინტი„ (ს.იოჰანსონი) 02.50 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 17.00 სერ„„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ„ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „დიდი ქალაქის ჩირაღდნები„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ III ნაწ. 13.30 კონცერტი - ფრიდრიჰ გულდა 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.00 მხ/ფ „ბაში-აჩუკი„ 17.30 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ V ნაწ. 18.05 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ IV ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ჩვენი ფონდი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიმარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენეტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

## შაბათი 2 მარტი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 ან/ფ „უკანასკნელი მიმზი„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.35 „მოამბე„ 12.30 „AGVA-GEORGIA„ 13.00 დ/ფ „ლეონარდო და ვინჩი„ 14.00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: „არმია„ — „სოხუმი„ (პ/რ) 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 17.30 დ/ფ „წიგნის მშვენება„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 21.00 „საჯარო პოლიტიკა„ 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ — ოკუპაცია 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.30 დ/ფ „რამინი (რეჟ: ბ. ოდიშარია) 00.30 მხ/ფ „ცხოვრება„ როგორც სახლი„ (კ. კლაინი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 მხ/ფ „ფანტოცი სამოთხეში„ (პ. ვილაჯო) 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — მარტა გერჰოლდი 20.00 მხ/ფ „და ყველაფერი განათდა„ 22.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო„ 23.00 მხ/ფ „ჩვენი მამების დროშები„ (ტიტ.) (კ. ისტვუდი)

08.20 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები„ 9–10 სერ. 09.15 მხ/ფ „მეფე – პოლარული დათვი„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. „ავატარი„ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 სერ. „აიძარლი„ 14.20 მხ/ფ „სენსაცია„ 16.00 სერ. „გმირები – 4„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „წერილები ჯულიეტასთვის„ (ა.საიფრედი) 01.45 მხ/ფ „სიზმავე„ (ჯ.მური) (ტიტ.) 03.45 მუსიკა

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი„ (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 სერ. „LOVERS AND SECRETS„ 19.00 ყველაზე ჭკვიანი დაწყება 20.00 „ნანუკას შოუ„ - (ბესტი) 22.00 ქ.მხ/ფ „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი„ 23.00 რა? სად? როდის? - გ/ჩ 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 „Latin Angels„ 02.00, 04.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „ყველაზე,ყველაზე„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ IV ნაწ. 13.45 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 ოპერა-„ლუჩია დე ლამერმური„ 17.35 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ VI ნაწ. 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 წმინდა თეოდორე ტირონი 21.30 „კარაბადინი„ 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 ძველი აფიშა 01.00 მხ/ფ „აპაჩი„

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 13.25, 15.30, 16.25, 16.35, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 8.30 კვირის არგუმენტი 10.00 დილა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია „მონიტორის„ ჟურნ. გამო იება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 „პრეს-პრესი„ 23.00, 3.30 „ჩვენ„ - ფამარ ჩიკოვანთან ერთად 0.00, 1.00, 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი)

## კვირა 3 მარტი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 საბ/ფ „ მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ„ 10.00 „ეტალონი„ 11.00 „ჩვენი ექსპრესი„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 14.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 „ჩვენი ფერმა„ 13.00 კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: „მარტოობის ბინადარი„ 14.10 მხ/ფ „ხევისბერი გოჩა„ 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამო 20.00 მხ/ფ „სულელების ოქრო„ (მ.მაკკონახი) 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ — ოკუპაცია 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „სექსი დიდ ქალაქში-2„ (ტიტ.) (ს.ჯ.პარკერი)

08.00 დ/ფ „ამფორების გზა„ 09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ„პატარა პრინცესა„ 11.35 მხ/ფ „მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად„ (ლ. ბესონი) 13.05 მხ/ფ „როგორ მოკლა მხდალმა რობერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი„ (პ. ვილაჯო) 15.40 მხ/ფ „პიკის საათი-3„ (ჯ. ჩანი) 17.15 მხ/ფ „გაიქეცი მსუქანო„ გაიქეცი„ 19.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — ჯოზეფინ ბეიკერი 20.00 მხ/ფ „ოუშენის 13 მეგობარი„ 22.00 ტ/სერ „მდივნები მეექვსე სართულიდან„ I სერ. 23.00 მხ/ფ „წერილები ივოძიმადან„ (კ. ისტვუდი) (ტიტ.)

08.00 ან/ფ „მონსტრები და მეკობრეები„ 09.00 მხ/ფ „ნამდვილი მამაკაცი„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 მხიარული სტარტები 14.20 მხ/ფ„„ფესტივალი კანში„ 16.00 სერ. „გმირები – 4„ 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: „ივერია„ 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 მხ/ფ „ბრძოლის წესები„ (ტ.ლი ჯონსი) 01.00 მხ/ფ „დღეს შენ მოკვდები„ (ს.სიგალი) 02.30 მუსიკა

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 10.00 MTV TEEN CRIBS 11.00 სერ. „კლუბი„ (ს2) 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 ეკი ვოკი 15.30 სერ. „LOVERS AND SECRETS„ 19.00 ეკი ვოკი დაწყება 20.00 პროფილი (ბესტი) 21.00 P.S. 22.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო გ/ჩ 02.00, 04.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.00 ძველი აფიშა 13.30 „ჩვენი ტრაპეზი„ 13.40 ქართული მულტფილმი 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.40 ეპოქის სახელები 16.05 კონცერტი - „ისევ ის ბალი„ შოთა მილორავა 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ V ნაწ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 21.40 „კვირიაკე„ 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 გაცოცხლებული წარსული 23.40 დრო და ადამიანები 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ/ფ „გაქცევა შოუშენკოდან„

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 10.35, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 0.25, 3.25, 4.25, 5.25, 6.25 უცხოეთის ამბები 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 13.00 „პრეს-პრესი„ 14.00, 16.00, 17.00, 20.00, 4.00 ამბები მოკლედ 10.00 დილა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 „ჩვენ„ - ფამარ ჩიკოვანთან ერთად 17.05 სტუდია „მონიტორის„ ჟურნ. გამო იება 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 იცოდე მეტი სამართალზე 2.30 დისკუსია სტუდია „რე„ 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# პრეზიდენტის არჩევნები სომხეთში

– ერევანში უკვე მეორე დღეა პროტესტი არ ცხრება, ოპოზიცია არჩევნების შედეგებს აპროტესტებს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება."

როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნებში დღეს მოქმედმა პრეზიდენტმა სერჟ სარქსიანმა გაიმარჯვა. სომხეთის პრეზიდენტთან დაახლოებული ექსპერტები ამტკიცებენ, რომ სარქსიანმა საარჩევნო კომპანია ოსტატურად წარმართა. მის თეზისებს (ეროვნული უსაფრთხოება, დსთ-ს ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა რუსეთთან კავშირის გაძლიერება, საერთაშორისო სტრუქტურებში სომხეთის აქტიური მონაწილეობა, ყარაბახის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ბაზაზე და ა. შ.) ოპოზიციამ ვერაფერი დაუპირისპირა. სარქსიანის ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი ცნობილი დისიდენტი პარუირ აირიკიანი ამას არ ეთანხმება:

– სარქსიანის პროგრამა პოპულისტური და ბუნდოვანია. ეს ყველას კარგად ესმის. მთავარი როლი არა ამან, არამედ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებამ ითამაშა, – თვლის აირიკიანი.

სერჟ სარქსიანი (დაბ. 1954წ.) ფრიად კოლორიტული ბიოგრაფიის პატრონია. ის რეპრესირებულის ოჯახიდანაა (მამამისი 1937 წელს დააპატიმრეს). მომავალი პრეზიდენტი სულ პატარა იყო, როცა ოჯახთან ერთად სტეფანაკერტში გადასახლდა.

– იმხანად ყარაბახი და მისი დედაქალაქი სტეფანაკერტი აზერბაიჯანის შემადგენლობაში იმყოფებოდა, – ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში სარქსიანი, – დღეს ზოგიერთი ამტკიცებს, სტალინის დროს იქ სიწყნარე სუფევდაო. სიცრუეა! ყარაბახის პრობლემა მუდამ იდგა. ყოფით დონეზე ამას ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდით."

სომხეთში სარქსიანი უკვე ე.წ. „გალღობის" პერიოდში დაბრუნდა. ჯერ ერევნის ერთ-ერთ ქარხანაში ხარატად მუშაობდა, შემდეგ უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისევ სტეფანაკერტში დაბრუნდა, სადაც წლების მანძილზე „კომკავშირული ხაზით" მუშაობდა. ის იყო სტეფანაკერტის ალკკ კომიტეტის მეორე მდივა-



ნი. სარქსიანი პარტიულ კარიერას უმიზნებდა, მაგრამ დატრიალებულმა მოვლენებმა ამ გეგმებში კორექტირება შეიტანა.

– ყარაბახში ომი დაიწყო. სარქსიანიც გამოიკვეთა როგორც საველე მეთაური, – აღნიშნავდა ბი-ბი-სი.

მართლაც ფართო საზოგადოებისათვის მისი პერსონა სწორედ ამ ომის დროს შეიქმნა ცნობილი. სარქსიანი „ყარაბახის თავდაცვის ძალების" სარდალი გახდა. ამ დროს ის გამოიკვეთა როგორც ე.წ. „ყარაბახელთა გუნდის" ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი. გუნდის ლიდერი რობერტ ქოჩარიანი იყო. როგორც ცნობილია, ქოჩარიანი შემდგომში სომხეთის პრეზიდენტად აირჩიეს. სარქსიანმა, როგორც მისმა ერთ-ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა, სომხეთის თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა.

ხელისუფლებაში „ყარაბახელთა" მოსვლამ ავტორიტარიზმის ზრდა გამოიწვია, – თვლის ცნობილი ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

ავტორიტარიზმმა ლოგიკურად გამოიწვია უკმაყოფილება. ჯერ კიდევ ქოჩარიანის პერიოდში სომხეთში არაერთი ექსცესი მოხდა. მოკლეს პარლამენტის სპიკერი ქარენ დემირჩიანი და ა. შ. მიუხედავად ამისა, „ყარაბახელებმა" ძალაუფლების შენარჩუნება მაინც მოახერხეს.

– ეს ძირითადად რუსეთთან კარგმა ურთიერთობამ განაპირობა, – თვლის პორტნიკოვი, – სომხეთი, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში მოსკოვის ერთადერთი საყრდენია. თუკი დასავლეთი სომხეთის ხელისუფლებას აკრიტიკებდა, კრემლი ყველა თვითნებობაზე თვალს ხუჭავდა. „ყარაბახელებმაც" პოლიციური რეჟიმის წყალობით ხელისუფლება შეინარჩუნეს."

ქოჩარიანმა თავისი საპრეზიდენტო ვადა დაასრულა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალაუფლება სარქსიანს გადასცა. პირველად სარქსიანი პრეზიდენტის პოსტზე 2008 წელს აირჩიეს.

– მაშინ არჩევნები უდიდესი დარღვევებით ჩატარდა, – წერს „შლიახ პერემოგი, – ეს საერთაშორისო დამკვირვებლებმაც აღნიშნეს.

მიუხედავად ამისა, სარქსიანი პრეზიდენტი მაინც გახდა, თუმცა ამით სომხეთში ბევრი არაფერი შეცვლილა. პოლიციური რეჟიმი შენარჩუნდა, შესაბამისად, უკმაყოფილებაც ძლიერდებოდა. მიუხედავად ამისა, სარქსიანი ძალაუფლების დათმობას არ აპირებდა. ეს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზეც გამოჩნდა.

– წლევანდელი არჩევნები მართლაც გასაოცარი იყო, – აღნიშნავს რადიო „თავისუფლება".

მართლაც შეხლა–შემოხლა და ურთიერთშეურაცხყოფა საკმაოზე მეტი იყო, ყველაფრის პიკი უდავოდ პარუირ აირიკიანზე თავდასხმა გახლდათ. ცნობილი დისიდენტი დაჭრეს.

– ჩემზე თავდასხმაში ბრალს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურს ვდებ, რომელიც ჯერ კიდევ დისიდენტობის პერიოდში მდევნიდა, – განუცხადა ჟურნალისტებს აირიკიანმა.

როგორც ჩანს, სტრუქტურა, რომელსაც აირიკიანი გულისხმობდა, სომხეთში თავს დღესაც საკმაოდ ლაღად გრძნობს. თავდამსხმელები ვერ იპოვეს. აირიკიანის დაჭრის გარდა კიდევ არა ერთი ექსცესი დაფიქსირდა. ცემა-ტყეპა, „კარუსელები" ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. მოსახლეობაც პროტესტს ხმამაღლა გამოხატავდა. ზოგჯერ ეს ფრიად კომიკური ფორმით ხდებოდა:

– ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა პროტესტის ნიშნად საარჩევნო სია შეჭამა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

სომხეთის ჰელსინკის ჯგუფმა დარღვევების ფაქტები საგანგებოდ დააფიქსირა, ეუთოს დამკვირვებლებმა კი აღნიშნეს, არჩევნები წინანდელთან შედარებით კარგად იყო ორგანიზებული, ოღონდ ჯანსაღი კონკურენცია არ არსებობდაო. ხელისუფლებამ ოფიციალური შედეგები გამოაცხადა. მის თანახმად მოქმედმა პრეზიდენტმა სერჟ სარქსინიამა გაიმარჯვა. მას მხარი ამომრჩეველთა 58,62 პროცენტმა დაუჭირა. მეორე ადგილზე გასულმა რაფი ოვანესიანმა კი 36,75 პროცენტი მიიღო.

– ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, – განაცხადა ოვანესიანმა.

მან არჩევნების შედეგები არ ცნო და თავისი მომხრეები ქუჩაში გამოიყვანა. ერევანში საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა. ქუჩაში გამოსვლა და გულის მოფხანა ერთადერთია, რაც სომხეთის მოსახლეობას დარჩენია.

**ნიკა თევზაძე**

## მალის ჩრდილოეთში მებრძოლებმა ქალაქ გოას შეუტიეს და მერია-გუბერნატორის რეზიდენცია დაიკავეს

მალის ჩრდილოეთში მოქმედმა „დასავლეთ აფრიკაში ერთიანობისთვის და ჯიჰადისთვის მოძრაობის" მებრძოლებმა ქალაქ გოას შეუტიეს, რომელიც დედაქალაქ ბამაკოსთან 1200 კმ-ში მდებარეობს და აფრიკული რესპუბლიკის ჩრდილოეთი რაიონების ყველაზე მსხვილ დასახლებულ პუნქტად ითვლება.

გავრცელებული ინფორმაციით, მეზობელი სოფლებიდან რამდენიმე ათეულმა მებრძოლმა ქალაქში შეღწევა მოახერხა და მერიის, ასევე ადგილობრივი გუბერნატორის რეზიდენციის დაკავება მოახერხა, - იტყობინება „იტარ-ტასი".

ამის პარალელურად, თავად გაოს ცენტრში გააფთრებული შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო. მალის არმიამ ექსტრემისტების წინააღმდეგ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები გამოიყენა, ხოლო მათ დასახმარებლად მისულმა ფრანგული კონტინგენტის ნაწილმა საბრძოლო ვეტმფრენები აამოქმედეა.

შედეგად, სამხედროების ინფორმაციით, ტერორისტები დაკავებული შენობებიდან განდევნეს და ამასთან, ცოცხალი ძალაც დააკარგვინეს. დაზიანდა გაოს მართლმსაჯულების შენობა, რომლის ნაწილიც ცეცხლით დააზიანეს.

თებერვლის დასაწყისში გაოში „დეძას" ტერორისტების რაზმი შეიჭრა, რომელმაც სამთავრობო არმიასთან ქუჩის ბრძოლები გააჩაღა. საარმიო ძალებმა მაშინ მებრძოლების მოულოდნელი შეტევა მოიგერიეს, თუმცა მათ დაიმუქრეს, რომ გაოსთვის ბრძოლას „გამარჯვებამდე გააგრძელებდნენ".

ტერორისტების მორიგმა მოულოდდნელმა რეიდმა თავდაცვის სისუსტე დაადასტურა, რომლის აშენებასაც მერამდენე კვირაა გაოს გარშემო ძალოვნები ფრანგ და აფრიკული ქვეყნების სამხედროებთან ერთდ ცდილობენ.

ფრანგული არმიის მთავარი შტაბის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ტერი ბიუკარმა განაცხადა, რომ ოპერაცია „პანტერა 4" მალის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მთიანი რეგიონიდან ისლამისტების განდევნისკენაა მიმართ?ლი. ოპერაცია ჯერ დასრულებული არ არის.

„ტერიტორიის წმენდის ოპერაცია გრძელდება. არის პროგრესი", – აღნიშნა მან.

## ისრაელის პრეზიდენტს დაბადების დღეზე 25 ჰექტარზე განფენილი პორტრეტი აჩუქეს

ისრაელს პრეზიდენტ შიმონ პერესს 90 წლის იუბილეზე აჩუქეს გიგანტური პორტრეტი, რომელიც მინდორზე ტრაქტორმა დახატა. ტელ-იოსეფის კიბუცის მცხოვრებლებს ქვეყნის უხუცესი პოლიტიკოსისთვის სიურპრიზის გაკეთება სურდათ, რომლის დანახვაც მხოლოდ ვეტმფრენის ბორტიდან შეიძლება, – იტყობინება „ნიუსრუ ისრაელი".



პერესი გალილეის მინდვრების დათვალიერებას აპირებდა და საჩუქრის შესახებ არ იცოდა. ფრენის დროს პრეზიდენტს სთხოვეს, რომ ქვემოთ გაეხედა, „მე ოდესღაც ამ მიწებს ვხნავდი, ვამუშავებდი, ახლა კი მათზე თვითონ გამთოხნეს, გამომსახეს", – განაცხადა პრეზიდენტმა.

კიბუცის მცხოვრებთა თხოვნით პორტრეტი მხატვარმა პიტერ ვინერმა დახატა, იონი ზაფრანის გრავიურის მიხედვით. ის დარწმუნებულია, რომ მას ისრაელში ყველაზე დიდი „საველე" სურათი გამოუვიდა. „შესაძლოა მთელ მსოფლიოშიც ასე იყოს. სამუშაომ ბევრი საათი წაიღო, მაგრამ ჩემთვის ასეთი არასტანდარტული ხერხით პრეზიდენტის დახატვა დიდი პატივია", - ამბობს მხატვარი.

პორტრეტი 90 წლის პერესისთვის ერთ-ერთი პირველი საჩუქარი გახდა. შიმონ პერესი ისრაელის მეცხრე პრეზიდენტია, ნობელის პრემიის ლაურეატი და ახლო აღმოსავლური სამშვიდობო პროცესის არქიტექტორია.

## ლას-ვეგასში „რეინჯ-როვერის და „მასერატის მძღოლებმა სროლების თანხლებით „შეჯიბრი მოაწყვეს"

ლას-ვეგასში (ნევადას შტატი) ურთიერთსროლის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა.

როგორც ერთ-ერთი ტელეარხი იუწყება, სროლა ადგილობრივი დროით 04:30 წუთზე, „რეინჯ-როვერის" მარკის ჯიპის და სპორტული „მასერატის" მგზავრებს შორის ხალხმრავალ ბულვარზე, ცნობილი კაზინოების სიახლოვეს გაჩაღდა.

მანქანები უდიდესი სისწრაფით მოძრაობდნენ და ერთმანეთს ესროდნენ, რამაც სხვა მანქანებთან შეჯახებები გამოიწვია, ტაქსის ჩათვლით, იტყობინება „იტარ ტასი".

სულ საგზაო შემთხვევაში ხუთი მანქანა აღმოჩნდა ჩათრეული. სამი ადამიანი ადგილზე დაიღუპა, ტაქსის მძღოლის და მგზავრის ჩათვლით, სამი დაჭრილი ჰოსპიტალიზებულია. მასერატის მძღოლი ცეცხლსასროლიდან მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა. პოლიცია ეძებს "რეინჯ-როვერსს", რომელმაც დანაშულის ადგილი სასწრაფოდ დატოვა. სამართალდამცავები ქალაქში დაკავების სპეციალური გეგმით მოქმედებენ.

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ბორისი, და ელენე გვალია, შვილები თამაზ, ლიკა, რძალი მაკა მირცხულავა, სიძეები ოთარ გვიჩია, გიორგი ყურაშვილი, შვილიშვილები ბორისი, პაატა, თამარი, მანანა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამალია კონსტანტინოვი-გაბუნია**

პანაშვიდი: 24, 25 თებერვალს, 17 საათზე.
დაკრძალვა: სამშაბათს, 26 თებერვალს, 15 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №10 (ვერა).

და ელენე, დისშვილები მერაბ, მაყვალა გვალიები, რძალი ციალა შელია, სიძეები მიხეილ ჩიკვილაძე, ნაპოლეონ მილორავა, შვილიშვილები ეკა, ვალერიან გვალიები, თეიკო, თამარ ჩიკვილაძეები, ძმისშვილები მარინა, მანანა, ბადრი, გიზო კონსტანტინოვები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამალია კონსტანტინოვი-გაბუნია**

ახალშენის ქუჩა №11-ის III სადარბაზოს მცხოვრებნი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მეზობელი, ქალბატონი

**გულიკო გოზალიშვილი**

დაკრძალვა: 23 თებერვალს, 14 საათზე.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



შვეულად: 1. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 2. მწვანე ფერის, სუბტროპიკული, ციტრუსოვანი მცენარე; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 5. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 7. უბანი თბილისში; 11. ობიექტურად არსებული სინამდვილე; 13. სახელმწიფო ევრაზიის კონტინენტზე; 15. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 16. ტრაგედია „ოტელოს" პერსონაჟი; 18. იგავ-არაკთა მამამთავარი; 19. სახელმწიფო ევროპაში.

**თარაზულად:** 6. ისრაელის პრეზიდენტი; 8. ქართველი ადვოკატი ქალი, დეპუტატი; 9. სტუდქალაქის სახელმწიფოს აშშ-ში; 10. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 12. ღვინის სასმისი; 14. მდინარე სამეგრელოში; 17. ხილის წვენების პიურესაგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი; 20. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 21. მონასტერი ხულოს რაიონში; 22. სადაზღვევო მოწმობა; 23. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. რთველი; 2. ბანგი; 3. საკი; 5. ლოკალი; 6. გრემი; 7. აქსიომა; 11. რაუნდი; 13. „ფაიზერი"; 14. შარმი; 15. „ფილიპსი"; 16. კირთაძე; 19. იარდი; 20. ტუში.

**თარაზულად**: 1. რუბენსი; 4. „რეალი"; 8. კიქსი; 9. კარე; 10. ენგური; 12. „პირველი"; 14. შუნი; 15. ფავორიტი; 16. კორტი; 18. მძივი; 21. რაცია; 22. ძელშავი; 23. დუბლინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბრინჯაო; 2. ბოხოხი; 3. ჩაინტაუნი; 4. მუჯირი; 5. მელბურნი; 7. „უშბა"; 11. დესპოტი; 13. დეფექტი; 15. ერაყი; 16. „ჰონდა"; 18. რენტა; 19. ტუმბო.

**თარაზულად**: 6. რატუშა; 8. ბოზბაში; 9. ბაჯაღლო; 10. ჯომარდი; 12. „სილვა"; 14. წიქარა; 17. ნეფერტიტი; 20. პროლოგი; 21. ჭყვიში; 22. ტაიბეი; 23. ფარავანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6555

ევრო — 2,2284

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5359

100 რუსული რუბლი — 5,5091

**ამინდის პროგნოზი 23 თებერვლისთვის**





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება
**პირველი და მეორე ტომები**
1 მარტიდან
**მესამე ტომი**
5 მარტიდან
**მეოთხე ტომი**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**





## საკალათბურთო გაცვლები ხმაურის გარეშე დასრულდა

ნბა-ში ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და ზაზა ფაჩულიაზე გავრცელებული ხმები კლუბის გამოცვლასთან დაკავშირებით, არ შედგა. არც ხმაურიანი გაცვლები მომხდარა, თუმცა, საინტერესო გაცვლები მაინც მოხდა.

„ატლანტამ“ ენტონი მოროუ გაუშვა და სანაცვლოდ დალასელი დანტეი ჯონსით შეივსო ადგილი. ატლანტელებმა ასევე ჯერემი ტაილერი მიიღეს „გოლდენ სტეიტიდან“, სანაცვლოდ კი დრაფტის მეორე რაუნდის არჩევნები დათმო.

„ბოსტონ სელტიქსმა“ ჯეისონ კოლინზი და ლეანდრო ბარბოსა ვაშინგტონელ უკანახაზელ ჯორდან კროუფორდში გაცვალა.

„მემფის გრიზლიმ“ რიკარდო სანჩესის სანაცვლოდ „მაიამიდან“ ცენტრალური თავდამსხმელი დექსტერ პიტმენი და მომავალი დრაფტის მეორე რაუნდის არჩევანი მიიღო.

„ტორონტო რეპტორზმა“ „ფინიქსის“ სასარგებლოდ ირანელი ცენტრი ჰამედ ჰადადი და მომავალი დრაფტის მეორე არჩევანი დათმო, სამაგიეროდ, გამთამაშებელი სებასტიან ტელფაირი აიყვანა.

„პორტლენდმა“ და „ოკლაჰომამ“ ერთმანეთში ერიკ მეინორი და გეორგიოს პრინტეზისი გაცვალეს. ოკლაჰომელებმა ასევე „ნიუ იორკ ნიქსი“ კალათბურთელი რონი ბრიუერი მიიღეს, რომლის სანაცვლოდ დრაფტის მეორე რაუნდის არჩევანი დათმეს.

„მილუოკიმ“ და „ორლანდომ“ ერთმანეთში დიდი გაცვლა განახორციელეს. ამიერიდან ორლანდოში ითამაშებენ ბენო უდრიხი, დერონ ლემბი და ტობიას ჰარისი, ხოლო მილუოკელთა ღირსებას დაიცავენ ჯეი ჯეი რედიკი, ისმაილ სმიტი და გუსტავო აიონი.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 2. დადუღებული ყურძნის წვენი; 3. პოლიციელთა მეტსახელი ინგლისში; 5. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 6. ტერიტორიული ერთეული; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 11. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; 13. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 14. ქართველი ფიზიკოსი ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 15. მოხელე ძველ რომში, რომელიც ახდენდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა გადასახადების გადახდას; 16. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 19. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 20. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.

**თარაზულად:** 1. დასავლეთის არაბული სახელწოდება; 4. გერმანელი მწერალი; 8. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 9. ცალკე მდგომი მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა საქართველოში; 10. ქოთანში მზარდი მინიატურული ჩინური ხე; 12. გადასახადებისგან განთავისუფლებული გლეხი ძველად საქართველოში; 14. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 15. ქართველი დრამატურგი „ხანუმა“-ს ავტორი; 16. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 18. იაპონური ავტომობილი; 21. უნგრული ღვინო; 22. სამართავი სპორტული მარხილი; 23. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## ასტროპროგნოზი

### 23 თებერვალი – სიყვარულის დღე

**ვერძი** – მშვენიერი დღე გელოდებათ, იაქტიურეთ. **კურო** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** – საღამოს მნიშვნელოვანი სიახლე გელით. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ. **ქალწული** – სახლში სიახლეა, ავეჯს გამოცვლით. **სასწორი** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** – ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **მშვილდოსანი** – ფულიც გაქვთ და სიხალისეც. **თხის რქა** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – ზედმეტად ნუ იაქტიურებთ, ისედაც ყურადღების ცენტრში ხართ.

### 24 თებერვალი – წარმატებული დღე

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს დაუჯერეთ. **ტყუპები** – სახლში სიახლეა, ძვირფას საჩუქარს მოგართმევენ. **კირჩხიბი** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ და ფულიც გექნებათ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა ნამდვილად ღირს, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ამდენი მუშაობა არ გარგებთ. **ღრიანკალი** – პრობლემას ერთ დღეში მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** – ახალი პროექტი საინტერესო აღმოჩნდება. **თხის რქა** – ყველა საქმეს ბილომდე მიიყვანთ, უფროსობა დაგაჯილდოვებთ. **მერწყული** – ნურავის დაელოდებით, საქმე თქვენ მოაგვარეთ. **თევზები** – უარი არ თქვათ პასუხისმგებლობაზე, საქმეს ნუ გაექცევით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## ბექა ბურჯანაძე: ეროვნულ ნაკრებში შესაძლოა ამ ზაფხულშივე გამომიძახონ

– 2009 წელს ბერძენი კოსტას პაპანიკოლაუ, 2010-ში – ფრანგი ენდრიუ ალბისი, შემდეგ ესპანელი ნიკოლა მიროტიჩი, გასულ წელს კი – კიდევ ერთი ფრანგი ლეო ვესტერმანი. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბოლო წლებში საუკეთესონი სწორედ ეს კალათბურთელები იყვნენ და მათ ზრდა არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ, – ასე იწყებს ფიბა-ევროპას ვებგვერდი სტატიას, რომელიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერ ბექა ბურჯანაძეს ეძღვნება.

ამჟამად ესპანური „კახასოლის“ შემადგენლობაში მყოფი ბურჯანაძე, 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენად მიიჩნევა და აი, რას წერს მასზე ფიბა-ევროპას ვებგვერდი.

– ახალი სახელების გამოჩენაა მოსალოდნელი მომავალ ევრობასკეტზეც, რომელსაც ესტონეთის დედაქალაქი ტალინი უმასპინძლებს. ცხადია, მედლებისთვის ყველა გუნდი ვერ იბრძოლებს, მაგრამ აუტსაიდერთა შორისაც კი არიან კალათბურთელები, რომლებზე დაკვირვებაც აუცილებელია.

მაგალითისთვის, საქართველოს ნაკრების წევრი ბექა ბურჯანაძეც შეგვიძლია ავიღოთ, რომელზეც გუნდის ელიტაში დატოვებისთვის ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გასულ ევროპის ჩემპიონატზე ა დივიზიონში მე-16 პოზიცია დაიკავა, თუმცა, ნაკრებთა რაოდენობის გაზრდის გამო, უძლიერესთა რიგებში ადგილი მაინც შეინარჩუნა.

2.03 სმ. სიმაღლის ფორვარდმა გასულ ევროპის ჩემპიონატზე 18 წლის ასაკში ითამაშა, თუმცა, მისთვის ასაკს ხელი არ შეუშლია, რომ მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილიყო. სლოვენიაში გამართულ ტურნირზე ბექას საშუალო მონაგარი 16.4 ქულა და 8.4 მოხსნა იყო.

**ბექა ბურჯანაძე:**

– ჩემი უმთავრესი მიზანი გუნდის დახმარებაა, რათა ისევ ბოლოები არ ვიყოთ! ოღონდ, ბოლოები არა! ნაკრებს ყველა კომპონენტში უნდა დავეხმარო – იქნება ეს მოხსნები, ქულები თუ სხვა რამ. წინა ევროპის ჩემპიონატი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იქ ჩემზე ორი წლით დიდი ბიჭები თამაშობდნენ და ჩინებულადაც გამოიყურებოდნენ, მე კი მათ წინააღმდეგ მიწევდა ჭიდილი. მაშინ ერთადერთი, რაც მჭირდებოდა, სათანადო დრო იყო. შანსი მომცეს და ღმერთის წყალობით, ცუდად არ მითამაშია.

ბურჯანაძესთვის უფროსებთან ჭიდილი ახალი ხილი არ გახლავთ. ასეა 2009 წლიდან მოყოლებული, როდესაც ბექამ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ითამაშა. მომდევნო ზაფხულში ქართველებმა იმავე დონეზე იასპარეზეს და მე-5 ადგილი დაიკავეს, ბურჯანაძის საშუალო მონაგარი კი 20.0 ქულა და 11.4 მოხსნა იყო.

სწორედ 2010 წელს ესპანური „კახასოლი“ ახალგაზრდა ქართველი ფორვარდის პოტენციალში საბოლოოდ დარწმუნდა და მას ანდალუზიის დედაქალაქში უხმო. ესპანურ აცბ-ლიგაში ბექას დებიუტი 2011 წლის იანვარში შედგა, როდესაც იგი 17 წლის და 14 დღის გახლდათ. „ბისკაია ბილბაოს“ წინააღმდეგ ბურჯანაძემ მხოლოდ 35 წამს ითა-


გაგრძელება მე-8 გვერდზე